პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 271 (9431) | კვირა, 16 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

შეუნელებლად ვიზრუნოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია (1-ლი გვერდი).

რა გვიჩვენა არჩევნებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში — «პრავდის» 15/XI მოწინავე (მე-2 გვერდი).

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად — სტალინური ხუთწლედები (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება — გორის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — შრომები რუს პლეხანოვზე (მე-3 გვერდი).

დ. ჯანელიძე — «დაბრუნება» კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შეუნელებლად ვიზრუნოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის

ჩვენს ქვეყანაში ადამიანი ყველა კაპიტალს შორის უძვირფასესი კაპიტალია. ამიტომ შემთხვევითი როდია ის უდიდესი მზრუნველობა და გულისხმიერება, რასაც იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ჯანმრთელობის დაცვისათვის.

მშრომელთა ყოფაცხოვრების მაღალმა დონემ, საწარმოო პირობების ყოველდღიურმა გაუმჯობესებამ, ფართო საბინაო მშენებლობამ ჩვენში შექმნეს პირობები მრავალი დაავადების ლიკვიდაციისათვის, როგორიც არის მალარია, ტუბერკულოზი, პროფესიული დაავადებანი და სხვ.

„როგორც ცნობილია, — თქვა ამხ. მალენკოვმა თავის საანგარიშო მოხსენებაში ჩვენი პარტიის XIX ყრილობაზე, — ჩვენს ქვეყანაში მუშები და მოსამსახურეები სახელმწიფოს ხარჯზე იღებენ სოციალური დაზღვევის დახმარებას, სოციალური უზრუნველყოფის პენსიებს, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების უფასო ანდიდეღავათიან საგზურებს, ყოველწლიურად იღებენ შვებულებას ხელფასის შენახვით. ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი იღებს უფასო სამედიცინო დახმარებას. სახელმწიფო ქალაქში და სოფლად დახმარებას აძლევს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს“.

ასეთი რამ წარმოუდგენელია და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიცინის მეცნიერება მიმართულია არა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ ადამიანის საყლეტი პრეპარატების შესაქმნელად, ახალ-ახალ საშინელ ავადმყოფობათა გასავრცელებლად და ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად, ააშკარავებს იმპერიალისტთა მხეცურ, კაცთმოძულე ბუნებას.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია საავადმყოფოების, დისპანსერების, პოლიკლინიკების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, სამალარიო სადგურებისა და სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების უფართოესი ქსელი, სადაც ისვენებს და მკურნალობს მილიონობით საბჭოთა მშრომელი.

ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკა ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. მისი ტერიტორია მოფენილია სხვადასხვა პროფილის მრავალი სპეციალური, დასასვენებელი და სამკურნალო დაწესებულებით.

ჩვენი რესპუბლიკა განთქმულია კურორტებით. მათი კეთილმოწყობის, რემონტისა და კაპიტალური მშენებლობისათვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა 107 მილიონი მანეთი, რის შედეგადაც კურორტთა გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. წელს დამსვენებელთა რიცხვი სანატორიუმებში 120 ათასზე მეტ კაცს მიაღწევს. ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნობანი ყოველწლიურად დიდდება. თუ 1948 წელს რესპუბლიკის ბიუჯეტით ამ საქმისათვის დაიხარჯა 400 მილიონი მანეთი, წელს დაიხარჯება 505 მილიონი მანეთი.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანებამ, რამაც ამასთან ერთად შექმნა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების პირობები.

მკურნალობის ხარისხით, ავადმყოფთა მოვლის მაღალი დონით, მეცნიერების ახალი მიღწევებისა და მეთოდების დანერგვით განსაკუთრებით გამოირჩევიან პროფესორების ერისთავის, ყიფშიძის, უგრელიძის კლინიკები, თბილისის ბავშვთა I საავადმყოფო, თელავის საავადმყოფო, ზესტაფონის მედსანნაწილის საავადმყოფო, სანატორიუმი „არაზინდო“ აბასთუმანში, ლენინის სახელობის სანატორიუმი გულრიფშში, კაჭრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთის საუბნო საავადმყოფო, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის საუბნო საავადმყოფო და სხვები.

მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ისეთი საავადმყოფოები და სანატორიუმები, რომელთა მუშაობას ნაკლი ახასიათებს, სუსტად იყენებენ მოწინავე მეცნიერების მიღწევებს, არაგულისხმიერად ეპყრობიან ავადმყოფებსა და დამსვენებლებს. ასეთი ნაკლოვანებებია კერძოდ ავჭალის საავადმყოფოში (მთავარი ექიმი მაკალათია), ჯავის სანატორიუმში (კურორტის დირექტორი მდივნიშვილი), სანატორიუმ „დარიალში“ (კურორტის დირექტორი ი. ბაჩიაშვილი). ამ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას საჭირო ყურადღება უნდა დაუთმონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჯერ კიდევ საჭირო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა ექიმების შერჩევასა და განაწილებას.

„რესპუბლიკის ბევრ რაიონში,— თქვა ამხ. ა. მგელაძემ თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე, — მედიცინის მუშაკთა ნაკლებობაა, თბილისში კი ამავე დროს უსაქმოდ ზის ბევრი ექიმი და კიდევ უფრო მეტია ისეთი ექიმები, რომლებიც ნახევარ ხელფასზე მუშაობენ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ხელიძე უფრო კარგად უნდა გაეცნოს ამ ექიმებს, რომლებიც „დაავადებული“ არიან რაიონისადმი შიშით, და უახლოეს ხანში შეარჩიოს ისინი საჭირო რაოდენობით, რათა გაგზავნოს რაიონებში სამუშაოდ“.

არის ნაკლოვანებები სოფლის უბნის საავადმყოფოების მშენებლობაშიც. ადგილობრივმა საბჭოებმა განსაკუთრებული ინიციატივა უნდა გამოიჩინონ, რათა სოფლად არსებული ამბულატორიები გადააქციონ სოფლის უბნის 10-საწოლიან საავადმყოფოებად. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ყველა ამბულატორია, რომელთა რიცხვი საქართველოში 400 აღემატება, მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის რეორგანიზებულ უნდა იქნას სოფლის საუბნო საავადმყოფოდ. ეს მნიშვნელოვან ამოცანას აკისრებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს საავადმყოფოებისათვის ახალ შენობათა აგების საქმეში.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ფართო პროგრამას სახავს ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში მიხუთე სტალინური ხუთწლედის მანძილზე აიგება მრავალი ახალი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, საავადმყოფო, საბავშვო ბაგა და სხვა სპეციალური სამედიცინო დაწესებულება, საწოლების რიცხვი რესპუბლიკის საავადმყოფოებში გადიდდება 24.930 ერთეულამდე, ადგილების რიცხვი სანატორიუმებში 7.470-მდე, ექიმების რაოდენობა რესპუბლიკაში ხუთწლედის ბოლოს მიაღწევს 10.103 კაცს. შესაბამისად გაფართოვდება უახლესი მედიკამენტების და სხვა ეფექტიანი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების, აგრეთვე თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო სამედიცინო მოწყობილობის წარმოება.

ყოველივე ეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე სახავს ამოცანას—ახალი, გადიდებული მოთხოვნილების შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა, სანიმუშო დონეზე დააყენონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობა. საქართველოს ჯანმრთელობის ორგანოებს საამისოდ ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ, ეს შესაძლებლობანი მათ სრულად უნდა გამოიყენონ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოების „კოლმეურნის“ ფეხბურთელთა გუნდის წევრების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ფეხბურთის დარგში მაღალი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბერეუნი ვიქტორ მიხეილის-ძე
2. გოგიტაძე გიორგი ვლადიმერის-ძე
3. ზარდიაშვილი თენგიზ სოლომონის-ძე
4. კოხრეიძე კარლო ვალერიანის-ძე
5. მენთეშაშვილი შალვა ბესარიონის-ძე
6. მთივლიშვილი ოთარ ივანეს-ძე
7. ნადაშვილი ილია ალექსის-ძე
8. ოდიშარია გულიკო ლევანის-ძე
9. ოთარაშვილი თენგიზ იორდანეს-ძე
10. რუაძე ალექსი ზაქარიას-ძე
11. სვიმონიშვილი თენგიზ ალექსანდრეს-ძე
12. უტიაშვილი სიმონ ნიკოლოზის-ძე
13. ფირცხალავა გივი ალექსანდრეს-ძე
14. ციხისთავი მალხაზ ზაქარიას-ძე
15. ცომაია რამინ ტერენტის-ძე
16. ხანიაშვილი ბერდო ვლადიმერის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი, 1952 წ. 15 ნოემბერი.

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია

მარგანეცი დეკემბრის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები, აღფრთოვანებულნი ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებითა და მშობლიური სტალინის ისტორიული სიტყვით, თავდადებით შრომობენ მეტი მარგანეცისათვის, წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

მარგანეცის ტრესტმა 10 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის გეგმა და ამჟამად მარგანეცს დეკემბრის ანგარიშში იძლევა.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავეს სტალინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა. დიმიტროვის სახელობის მაღარომ თერთმეტი თვის გეგმა ათ თვეში გადაჭარბებით შეასრულა და მალე წლიურ გეგმას შეასრულებს. კარგად მუშაობენ აგრეთვე ლენინის, ბერიას, კაგანოვიჩისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროები.

ჭიათურელი მაღაროელები იბრძვიან წლიური გეგმის სტალინური კონსტიტუციის დღის — 5 დეკემბრისათვის შესასრულებლად.

მძლავრი შრომითი აღმავლობა

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხ ფაბრიკაში მძლავრი შრომითი აღმავლობაა. ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის საწარმოო დავალების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ფაბრიკაში სახელი გაითქვა ციალა ღლონტის მეთოდით მომუშავე ექვსდაზგოსანმა სტახანოველმა ე. ფარცვანიამ. მან ოქტომბრის დავალება საგრძნობი გადამეტებით შეასრულა და ნოემბერში უფრო უკეთეს წარმატებას მიაღწია. იგი ყოველდღიურ დავალებას 110-113 პროცენტით ანაღდებს.

ასევე გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმებს ექვსდაზგოსანი მ. ღაჭავა, სტახანოველები ნ. დომრეჩოვა და ნ. ხვინგია. ისინი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ და ნედლეულის მნიშვნელოვან ეკონომიას აღწევენ.

ფაბრიკაში მრავალი მოწინავე ბრიგადაა. ე. ადამიას ბრიგადა 105-107 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს, ხოლო პ. სანოძის ბრიგადამ გეგმის შესრულების 110 პროცენტს მიაღწია.

ცვლამ, რომელსაც ნ. რევია ხელმძღვანელობს, საუკეთესო მუშაობისათვის წელს ზედიზედ მიიღო ფაბრიკის გარდამავალი წითელი დროშა. ნ. რევიას ცვლა ძაფის ამოხვევის ყოველდღიურ გეგმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით და ხარისხის დაცვით ასრულებს, ამასთან დიდძალი ნედლეულის ეკონომიას იძლევა. **(„კომუნისტის“ კორ.).**

იბრძვიან მეჯი ქვანახშირის ამოღებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). ნოემბრის პირველ დეკადაში ტყიბულელი მეშახტეები, რომლებიც ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად ტყვარჩელელ მეშახტეებს ეჯიბრებიან, თავდადებით მუშაობდნენ ქვანახშირის ამოღების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

მოლოტოვის სახელობის შახტმა ნოემბრის პირველი დეკადის გეგმა შეასრულა 126 პროცენტით, გელათის შახტმა — 109,2, ხოლო ლენინის სახელობის შახტმა — 102,7 პროცენტით. მთლიანად ტრესტმა ნოემბრის პირველი დეკადის დავალება გადაჭარბებით გაანაღდა.

მოწინავე უბნები, ცვლები და ცალკეული მეშახტეები კიდევ უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. შალვა ლაფერაძის უბანმა 10 დღეში 1.700 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო და დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდა. მეშახტეთა შორის მოწინავეთა რიგებში არიან სტახანოველი მეშახტეები ნ. ტუკვაძე, დ. ბოჭორიშვილი, ი. კომახიძე, ჟ. გაბრიაძე და სხვები.

ფლიუერი გეგმა—1 დეკემბრისათვის

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა წარმატებით გაანაღდეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ქარხნის კოლექტივმა ათ თვეში შეასრულა 11 თვის გეგმა, ზუსტად დაიცვა ასორტიმენტი, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 14 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 248 ათასი მანეთი.

საწარმოს კოლექტივმა, რომელიც კომუნიზმის დიად მშენებლობებს აწვდის ზუსტ ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, ფართოდ გაშალა სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება საპატიო დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის და იკისრა წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ამ უკანასკნელ ხანს ქარხნის კოლექტივმა ინჟინერ-კონსტრუქტორის ნ. ხარაიძის ხელმძღვანელობით წარმატებით აითვისა წყალის სიმღვრივის განმსაზღვრელი ახალი ხელსაწყო, რომელიც შესრულებულია ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და წყალმომარაგების კათედრის შეკვეთით. ქარხანა ამზადებს ამ ხელსაწყოს ორ საცდელ ეგზემპლარს, რომლებიც დეკემბრის შუა რიცხვებში გაეგზავნება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს.

საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა მექანიკურ-სახარატო საამქროს კოლექტივმა, რომელმაც მთლიანად აღმოფხვრა წუნი, ოქტომბრის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა და ახლა იბრძვის იმისათვის, რომ წლიური საგეგმო დავალება 25 ნოემბრისათვის გაანაღდოს.

მექანიკურ-ამწყობ საამქროში, საიდაც საწარმოო ციკლი მთავრდება და პროდუქცია დასრულებულ სახეს იღებს, შრომითი მამაცობით თავი ისახელა ზეინკალმა დ. კლდიაშვილმა. მან 15 დღეში აიწყო თოვლმზომი ხელსაწყოს 100 ცილინდრი და თვიური დავალება ორ კვირაში გაანაღდა.

ქარხნის მუშები: მღარავი კ. სვანიშვილი, ზეინკლები ა. აბაზაძე, ვ. კაზაკოვი, ხარატები ი. გამჯიაშვილი, გ. წამალაშვილი და სხვები სტახანოვურ ვახტზე დგანან და დღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

მეჯი შიფერი მშენებლობებს

კასპი. (საკ. კორ.). მაღალ საწარმოო წარმატებებს აღწევს კასპის შიფერის ქარხნის კოლექტივი. ქარხანამ სასახელოდ გაანაღდა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ყრილობის გადაწყვეტილებებითა და ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებულმა ქარხნის კოლექტივმა გააძლიერა მუშაობის ტემპი და ახალ წარმატებას მიაღწია — ათი თვის გეგმა 112,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ოქტომბრის დავალება ვადაზე 6 დღით ადრე გაანაღდა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა დ. ბაკურაძის ცვლამ, რომელმაც ოქტომბრის საგეგმო დავალებას 15 პროცენტით გადააჭარბა. მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევა ვ. მანძულაშვილის ბრიგადა. ეს ბრიგადა დავალებას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

ქარხნის კოლექტივი თავდადებით შრომობს, რათა წლიური გეგმა შეასრულოს პირველი დეკემბრისათვის. ამ ამოცანის შესასრულებლად ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ცვლებსა და ბრიგადებს შორის.



თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ვადაზე ადრე—1 ნოემბრისათვის შეასრულა საფეიქრო დაზგების გამოშვების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა მრავალი დაზგა. წლის ბოლომდე ქარხანა დამატებით გამოუშვებს ათობით დაზგას. **სურათზე:** მარცხნივ — ქარხნის მოწინავე სტახანოველი ხარატი მ. გოგილაშვილი, რომელიც ცვლაში 3 ნორმას ასრულებს; მარჯვნივ — საქსოვი დაზგის აწყობა, წინა პლანზე ამწყობი სტახანოველი ვ. ტოკაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნებისა და დიპლომების გადაცემა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნები და დიპლომები გადაეცათ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

სტალინური პრემიის ლაურეატის მეორე ხარისხის საპატიო ნიშანი და დიპლომი გადაეცა პოეტ **გიორგი ლეონიძეს,** რომელსაც სტალინური პრემია მინიჭებული აქვს პოემებისათვის „ბერშოულა“ და „ფორთოხალა“.

კომპოზიტორ **ოთარ თაქთაქიშვილს** გადაეცა სტალინური პრემიის ლაურეატის მეორე ხარისხის საპატიო ნიშანი და დიპლომი ფორტეპიანოს და ორკესტრის კონცერტისათვის.

სტალინური პრემიის ლაურეატის მეორე ხარისხის საპატიო ნიშნები და დიპლომები გადაეცათ კ. მარჯანიშვილის სახელობის ქართული თეატრის სპექტაკლ „მისი ვარსკვლავის“ მონაწილეებს: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორ **არჩილ ჩხარტიშვილს,** სსრ კავშირის სახალხო არტისტ **ვერიკო ანჯაფარიძეს,** საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მხატვარ **იოსებ სუმბათაშვილს,** საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს **სერგო ზაქარიაძეს, პიერ კობახიძეს, ვასო გოძიაშვილს,** საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს **გიორგი შავგულიძეს, აკაკი კვანტალიანს, ალექსანდრე ომიაძეს.**

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ პოეტი გიორგი ლეონიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები პიერ კობახიძე და ვასო გოძიაშვილი, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიას, მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ კომუნიზმის საქმის სამსახურს. (საქდესი).

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია თბილისში

15 ნოემბერს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მიწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში 15 კაცია. დელეგაციას მეთაურობს კარლ შირდევანი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ვ. გოგუაძე, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმრები მთელი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ადგილებს. დელეგაცია ესტუმრა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას. სტუმრებს უჩვენეს დოკუმენტალური ფილმი „საბჭოთა საქართველო“. დელეგაცია საქართველოში რამდენიმე დღეს დაჰყოფს. (საქდესი).

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წარმატება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 15 ნოემბერი. (საქდესი). * პრაღის მრეწველობის სასახლეში გაიმართა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მესამე კონცერტი. ანსამბლის ყველა მონაწილის ბრწყინვალე ოსტატობამ მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია. ყოველ ცეკვას ხვდებოდნენ მქუხარე ტაშით. მაყურებლები მოითხოვდნენ ცეკვების გამეორებას.

ანსამბლის ორ სხვა გამოსვლასაც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში დიდი წარმატება ჰქონდა.

ყოველი გამოსვლა, რომელსაც ათასობით ადამიანი დაესწრო, საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი და დიდი სტალინისადმი ჩეხოსლოვაკიის ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ მიემგზავრება ჩეხოსლოვაკიის უდიდეს სამრეწველო ცენტრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გვიჩვენა არჩევნებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში

4 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა მორიგი არჩევნები: აირჩიეს ამომრჩევლები, რომლებმაც დეკემბერში უნდა გააფორმონ პრეზიდენტის არჩევა; არჩეულია აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის 435 წევრი, 35 სენატორი და მთელი რიგი შტატების გუბერნატორები.

არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრდა დემოკრატიული პარტიის (ტრუმენის პარტიის) სერიოზული დამარცხებით. ამ პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე სტივენსონი დამარცხდა. პარტიამ დაკარგა უმრავლესობა სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში. მან დაკარგა აგრეთვე გუბერნატორის ხუთი პოსტი.

რესპუბლიკელთა პარტია მოგებულია.

გენერალ ეიზენჰაუერს, რომელიც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის როლში გამოვიდა და მიიღო ხმების შეფარდებითი უმეტესობა, უზრუნველყოფილი აქვს პრეზიდენტად არჩევა, — მას ხმას მისცემს 442 ამრჩეველი 531-დან. გარდა ამისა, რესპუბლიკელთა პარტიის კონტროლს დაექვემდებარა სენატი და წარმომადგენელთა პალატა. დასასრულ, ახლა მას ეკუთვნის შტატების (ოლქების) დიდი უმრავლესობის გუბერნატორთა პოსტები.

არჩევნების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგითს ამერიკელებს, რომლებმაც ნდობა არ გამოუცხადეს დემოკრატიულ პარტიას, რომელიც პასუხისმგებელია ტრუმენის ავანტიურისტული პოლიტიკისათვის და უწინარეს ყოვლისა კორეაში მის მიერ გაჩაღებული ომისათვის, ამავე დროს სრულიადაც არ განუცხადებიათ, რომ მზად არიან ბოლომდე გაჰყვნენ რესპუბლიკურ პარტიას. თუ გავითვალისწინებთ, რომ 98.400.000 ამომრჩევლიდან მხოლოდ 33.029.308 ამომრჩეველმა მისცა ხმა ეიზენჰაუერს, ხოლო დანარჩენებმა ან წინააღმდეგ მისცეს ხმა, ანდა საერთოდ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს, აღმოჩნდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი თავის არჩევას უნდა უმადლოდეს ხმის უფლების მქონე ამერიკელ მოქალაქეთა მხოლოდ **ერთ მესამედს.**

4 ნოემბრის არჩევნების შედეგები რომ სწორად შევაფასოთ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს არჩევნები მოეწყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც კი უმაგალითო ნერვიულობის, დაძაბულობისა და უხეში პოლიციური ტერორის პირობებში.

შვეიცარიის ბურჟუაზიული გაზეთის „გაზეტ დე ლოზანის“ სპეციალური კორესპონდენტი 4 ნოემბერს იუწყებოდა: „ქანცგამოლეული, უკიდურეს ნერვიულ მდგომარეობამდე მიყვანილი ამერიკა ემზადება ხმის მისაცემად. 12-და მძვინვარე კვირამ, უძილო ღამეებმა საშუალო ამერიკელი ამომრჩეველი სათამაშოდ გადაქციეს რადიოკომენტატორების, რეპორტიორების, პოლიტიკანების შემაძრწუნებელი არმიის ხელში, რომლებიც უკანასკნელ წამამდე გამარეტიანებელი ხმაურით ჩასჩიჩინებენ მას ორი პარტიის მოწოდებებს. ნიუ-იორკის პოლიციელები — განგსტერთა ეს ტყუპი ძმები — რევოლვერებით უზრუნველყოფენ წესრიგს. გამალებით მუშაობს ფედერალური პოლიცია“.

სინამდვილის ეს სურათი, რომელსაც ბურჟუაზიული ჟურნალისტი იძლევა, ნათლად გვიხატავს იმ პოლიციურ რეჟიმს, რომელსაც მხოლოდ ამერიკელი ფარისევლები თუ დაარქმევენ კიდევ „დემოკრატიულ“ რეჟიმს. რა დემოკრატიაზე შეიძლებოდა ლაპარაკი ამ არჩევნების დროს, როცა საარჩევნო კამპანიის მოწყობის შესაძლებლობა ჰქონდა მონოპოლისტური კაპიტალის მხოლოდ ორ მოქიშპე დაჯგუფებას, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში აქვთ ერთერთელა პოლიტიკური და პროპაგანდისტული აპარატი და ასეულ მილიონობით დოლარი, რაც მათმა მფარველებმა უხვად გაიღეს?

რაც შეეხება პროგრესულ პარტიას, რომელიც არჩევნებში გამოვიდა მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვის პროგრამით, მას მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში სდევნიდნენ და ავიწროებდნენ რეაქციის გაერთიანებული ძალები.

რა მიზეზით დამარცხდა კანდიდატი დემოკრატიული პარტიისა, რომლის წარმომადგენლებსაც პრეზიდენტის საკარძელი ეკავათ ოც წელს — 1933 წლიდან?

ეს დამარცხება დემოკრატიული პარტიის მთავრობის მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ტრუმენის პოლიტიკის გაკოტრების პირდაპირი შედეგია.

უნდა გავიხსენოთ, რომ 1948 წელს პრეზიდენტის არჩევნებში დემოკრატებმა მხოლოდ იმიტომ დაამარცხეს რესპუბლიკელები, რომ მათი პროგრამა შეიცავდა მრავალ დაპირებას — მშვიდობისათვის ბრძოლის, მშრომელთა საჭიროების დაკმაყოფილების მთელ რიგ ლონისძიებათა განხორციელების დაპირებას. „მთელ ჩემს ძალღონეს, — განაცხადა ტრუმენმა 1948 წელს, — იმას მოვახმარ, რომ უზრუნველყო მშვიდობა მთელ მსოფლიოში და ჩვენი ხალხის კეთილდღეობა და ბედნიერება აქ, ჩვენს ქვეყანაში“.

მილიონობით ამერიკელმა ამომრჩეველმა ეს დაპირებანი ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნია და 1948 წლის არჩევნებში უპირატესობა მიანიჭა ტრუმენს, დემოკრატებს, უარყო რა რესპუბლიკელთა ამკარად რეაქციული და აგრესიული პროგრამა. მაგრამ დემოკრატების მთავრობას არც კი უფიქრია შეესრულებინა თავისი საარჩევნო დაპირებანი. ტრუმენის მთავრობამ თავის პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ახალი მსოფლიო ომის მომზადება და გაჩაღება ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად, ამერიკელ მილიარდერთა და მილიონერთა კიდევ უფრო გასამდიდრებლად.

ტრუმენის მთავრობის აგრესიულმა ანტიერისტულმა კურსმა ბევრი უბედურება და გაჭირვება მოუტანა ამერიკელ ხალხს. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო ფენებში სულ უფრო ძლიერდებოდა ტრუმენის პოლიტიკის გამო უკმაყოფილება. სულ უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ ბოლო მოღებოდა ტრუმენის მიერ გაჩაღებულ დაპყრობითს ომს კორეაში, დაბრუნებოდნენ მშვიდობისა და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას, შეეწყვიტათ მშრომელთა გაძარცვის და სამოქალაქო თავისუფლებათა ლიკვიდაციის პოლიტიკა.

მაგრამ ტრუმენის მთავრობამ არ მოისურვა ანგარიში გაეწია ამომრჩეველთა ამ განწყობილებისათვის. საარჩევნო კამპანიის დროსაც კი დემოკრატთა პარტიის წარმომადგენლები არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ხალხში ესოდენ არაპოპულარული კორეის ომი. 30 სექტემბერს ჩიკაგოში სიტყვა წარმოთქვა სტივენსონმა. მან თქვა: „რამდენ ხანს შეგვიძლია განვაგრძოთ საომარი მოქმედება კორეაში? ამას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს. ჩვენ შეგვიძლია საომარი მოქმედება განვაგრძოთ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება, და ჩვენ ამას ვიზამთ“. სტივენსონის ასეთმა პოზიციამ, რა თქმა უნდა, ჩამოაშორა დემოკრატებს ბევრი ამომრჩეველი, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი კორეაში სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტით.

გაითვალისწინეს რა ამომრჩეველთა განწყობილება, რესპუბლიკელთა პარტიის ხელმძღვანელებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა კორეაში ომისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ ტრუმენისათვის, დემოკრატებისათვის, ამასთან ყოველნაირად ნიღბავდნენ იმ უდავო ფაქტს, რომ ეს ომი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების „ორპარტიული“ პოლიტიკის პირმშოა და რომ ამ ომის გაჩაღებაში განსაკუთრებით აქტიური როლი შეასრულა რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკურ საკითხთა გამოჩენილმა „სპეციალისტმა“ ჯონ ფოსტერ დალესმა, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათაც კი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველი იყო.

როგორც ცნობილია, გენერალმა ეიზენჰაუერმა საარჩევნო კამპანიის დასაწყისში მთელი რიგი საომარი განცხადებანი გააკეთა. მაგრამ ასეთმა დეკლარაციებმა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მთელ მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკური პარტიის „ტვინის ტრესტმა“ მკვეთრად შეცვალა მისი კანდიდატის გამოსვლების ხასიათი: ეიზენჰაუერმა კილო შეიცვალა და წარმოთქვა სიტყვათა სერია, რომლებშიც ცდილობდა თავი გამოეყვანა „კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის“ მომხრედ. ეიზენჰაუერი თავის გამოსვლებში ამტკიცებდა, რომ „ახალი მთავრობის პირველი ამოცანა იქნება ლიკვიდაცია ამ ტრაგიკული კონფლიქტისა, რომელიც ყველა ამერიკელის სახლში იჭრება და მსოფლიო ომს გვიქადის“. 27 ოქტომბერს ეიზენჰაუერმა პიტსბურგში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ისიც კი განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტად ამირჩიეს, დაუყოვნებლივ გავემგზავრები კორეაში, რათა ადგილობრივ შეეისწავლა საკითხი, რა არის საჭირო იმისათვის, რომ „სწრაფად და საპატიოდ“ დავამთავროთ ომი კორეაში. კომენტარს უკეთებდნენ რა ეიზენჰაუერის ტაქტიკურ მანევრს, ამერიკის გაზეთები ცინიკური გულახდილობით წერდნენ, რომ „კორეის საკითხი ეიზენჰაუერის უმნიშვნელოვანესი კოზირია“ და რომ ეს საკითხი „შეიძლება სტივენსონისათვის 1952 წლის პოლიტიკური კამპანიის ვატერლოო გახდესო“.

ასეც მოხდა.

ამომრჩევლებმა ხმა მისცეს არა იმდენად ეიზენჰაუერს, რამდენადაც ტრუმენისა და მისი ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკელი ხალხი აკისრებს პასუხისმგებლობას კორეაში ომის გაჩაღებისათვის, მაღალი ფასებისა და გადასახადებისათვის, სახელმწიფო აპარატის გახრწნისა და მექრთამეობისათვის და სხვ. ახლა ბურჟუაზიული პრესაც კი აშკარად წერს, რომ ამერიკელმა ამომრჩეველმა თავისი ხმის მიცემით „უარყო ტრუმენ-აჩესონის პოლიტიკა“.

„პრავდის“ 15/XI მოწინავე.

ცალკე ბროშურად გამოიცა მ. ზ. პერვუხინის მოხსენება

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა მ. ზ. პერვუხინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1952 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი“. ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

სტალინური ხუთწლედები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის პერსპექტივები. ეს დირექტივები უშუალოდ გამომდინარეობენ პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიული სიტყვიდან — „რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, პარტიას განზრახვა აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისესამად ომამდელ დონესთან შედარებით“.

საწარმოო ძალთა აღმავლობის ასეთი მასშტაბები და ტემპები შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც მოსპობილია წარმოების საშუალებათა კერძოკაპიტალისტური საკუთრება და ექსპლოატაციის ყოველგვარი სისტემა, სადაც ადამიანები თავიანთი საწარმოო ურთიერთობის ნამდვილი ბატონ-პატრონი არიან.

• • •

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმი, დაამყარა მუშათა კლასის დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლება. ამით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინისა და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მოახდინა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, განახორციელა მიწების, მსხვილი მრეწველობის, ბანკების ნაციონალიზაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე ძალა დაკარგა და ასპარეზი დატოვა კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონმა. წინააღმდეგ კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონისა, წარმოიშვა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კანონი.

ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც უმაღლესი ეტაპია მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში, გვაიარაღებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლების ცოდნით. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას და, მაშასადამე, სახალხო მეურნეობის დაგეგმვას შეუძლია მოგვცეს ჯეროვანი დადებითი შედეგები, თუ იგი დაეყრდნობა სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს, თუ იგი ანგარიშს გაუწევს სოციალისტური წარმოების მთავარ ამოცანას, რომ უზრუნველყოს მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ჩვენს პრაქტიკას შეუძლია მიაღწიოს დადებით შედეგებს შემდეგი ორი პირობის დაცვით: პირველი — თუ იგი სწორად ასახავს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ობიექტური კანონის მოთხოვნებს; მეორე — თუ იგი ყველაფერში უპასუხებს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს. ამხანაგ სტალინის შრომებში მოცემულია საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და განაწილების, საზოგადოებრივი შრომისა და წარმოების საშუალებათა განაწილების, რეპროდუქციის სხვადასხვა მხარეებს შორის (წარმოება, მიმოქცევა, განაწილება, მოხმარება) შესაბამისობის, სახალხო მეურნეობის დარგებს შორის (მრეწველობა და სოფლის მეურნეობა) თანაფარდობის, საზოგადოებრივი წარმოების ორ ძირითად დანაყოფს შორის — წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საშუალებათა წარმოებას შორის პროპორციების ორმა და ყოველმხრივი დახასიათება. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების არსებითი ნიშანი, რომელიც დაპირობებულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით, არის წარმოების მუდმივ უწყვეტი ზრდა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. სოციალისტური წარმოების მიზანი კაპიტალისტური წარმოებისაგან განსხვავებით არის არა მოგების მიღება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი. სოციალიზმის ეკონომიკური კანონების შეცნობის, დაუფლებისა და შეგნებული გამოყენების საფუძველზე სსრ კავშირის სათანადო ორგანოები ახორციელებენ როგორც პერსპექტივულ, ისე ოპერატიულ დაგეგმვას.

სოციალისტური დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების ზრდისა და განმტკიცების შესაბამისად. პირველი დიდი პერსპექტივული გეგმა იყო „გოელროს“ გეგმა. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გაშლილი სოციალისტური შეტევისა და სოციალიზმის ეკონომიკური საძირკვლის ამენების ამოცანების საფუძველზე წარმოიშვა პირველი ხუთწლიანი გეგმა, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი პერსპექტივული გეგმა. იგი შედგენილ იქნა პარტიის XV ყრილობის დირექტივების მიხედვით.

პირველი სტალინური ხუთწლედი (1928 წლის ოქტომბრიდან 1932 წლამდე) იყო სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ამენების ხუთწლედი. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას. ეს იყო დიად სამუშაოთა პროგრამა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ენთუზიაზმით შეხვდა. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად, მშრომელი მასების შრომითი ენთუზიაზმისა და შემოქმედებითი ინიციატივის მეოხებით, რამაც გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, პირველი ხუთწლიანი გეგმა შესრულებულ იქნა 4 წელიწადსა და 3 თვეში. ხუთწლედის მანძილზე შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: შავი მეტალურგია, სატრაქტორო მრეწველობა, საავტომობილო მრეწველობა, დაზგათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, საავიაციო მრეწველობა, ელექტრომრეწველობა. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ნავთის, ქვანახშირისა და ტორფის მომპოვებელი მრეწველობა. — „...ჩვენ არა მარტო შევქმენით მრეწველობის ეს ახალი უზარმაზარი დარგები, არამედ შევქმენით ისეთი მასშტაბით და ისეთ ფარგლებში, რომელთა წინაშე იჩრდილება ევროპის ინდუსტრიის მასშტაბები და ფარგლები“ (ი. სტალინი).

პირველ ხუთწლედში მიღწეულ იქნა ის ძირითადი შედეგები, რომ „ა) სსრ კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად, ვინაიდან სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის მთელ წარმოებაში გაიზარდა 70 პროცენტამდე.

ბ) მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ მოახდინა ლიკვიდაცია კაპიტალისტური ელემენტებისა მრეწველობის დარგში და გახდა მეურნეობის ერთადერთ სისტემად მრეწველობაში.

გ) მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ მოახდინა ლიკვიდაცია კულაკობისა, როგორც კლასისა, სოფლის მეურნეობის დარგში და გახდა გაბატონებულ ძალად სოფლის მეურნეობაში.

დ) საკოლმეურნეო წყობილებამ მოსპო სიღატაკე, სიღარიბე სოთლად, — ათიულ მილიონობით ღარიბმა გლეხებმა მიაღწიეს უზრუნველყოფილ ადამიანთა მდგომარეობას.

ე) სოციალისტურმა სისტემამ მრეწველობაში მოსპო უმუშევრობა, შეინარჩუნა 8-საათიანი სამუშაო დღე წარმოების მთელ რიგ დარგებში, გადაიიდა 7-საათიან სამუშაო დღეზე საწარმოთა უდიდეს უმრავლესობაში, დაიწია 6-საათიანი სამუშაო დღე დანმრთელობისათვის მავნე საწარმოებში.

ვ) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალიზმის გამარჯვებამ მოსპო ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 415).

მეორე სტალინური ხუთწლედის (1933-1937 წლები) ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ექსპლოატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების მოსპობა, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ხუთწლედის ძირითადი სამეურნეო ამოცანა იყო ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ხუთწლეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა მასების სულადობრივი მოხმარების ნორმის 2-3-ჯერ გაზრდა.

მშენებლობის პათოსი, რომელმაც მოიცვა მასები პირველ ხუთწლედში, მეორე ხუთწლედში შეიძინა ახალი ტექნიკის ათვისების პათოსით. სოციალისტურმა შეჯიბრებამ წარმოშვა თავისი ახალი, უმაღლესი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა. ამან შესაძლებელი გახადა ხუთწლედის დავალებათა შესრულება მრეწველობაში 4 წელიწადსა და 3 თვეში, ხოლო რკინიგზის ტვირთზიდვის დარგში — 2 წელიწაოში. ამავე პერიოდში აშენდა 4.500 მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომლებიც აღჭურვილი იყო უახლესი ტექნიკით. მეურნეობის სოციალისტური სისტემა განუყოფლად გაბატონდა მთელ სახალხო მეურნეობაში. მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვნად ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. განხორციელდა კულტურული რევოლუცია. ღრმად შეიცვალა სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურა. მძლავრად განვითარდნენ საბჭოთა საზოგადოების ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არიან საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი და ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

წარმატებით შეასრულა რა მეორე ხუთწლიანი გეგმა, საბჭოთა ხალხი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ეს იყო ხანა, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში კვლავ დაიწყო ახალი ეკონომიკური კრიზისი, როცა მომწიფდა მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის მეორე კრიზისი და ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ომის ორი კერა: დასავლეთით — ფაშისტური გერმანიის ზონაში და აღმოსავლეთით — იაპონიის ზონაში. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. 1939 წელს პარტიის მეთვრამეტე ყრილობამ წამოაყენა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიკური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიკურადაც, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მხრივ.

მესამე სტალინური ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში (1938-1940 წლები) სსრ კავშირის ეკონომიკური რაიონების კომპლექსური დაგეგმვის საფუძველზე განხორციელდა დიდი კაპიტალური მშენებლობა. აშენდა სამი ათასამდე მსხვილი სამრეწველო საწარმო, ელექტროსადგური და შახტი. საბჭოთა კავშირში 1940 წლის განმავლობაში დაბზადდა 15 მილიონი ტონა თუჯი, ესე იგი ითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე მეფის რუსეთში 1913 წელს; 18 მილიონი 300 ათასი ტონა ფოლადი, ესე იგი ოთხნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

„წარმოების ასეთი უმაგალითო ზრდა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა“.

ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმა წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალთა უდიდეს გამოცდას. დიდი სამამულო ომის მსვლელობაში მთელი ძალით გამოვლინდა საბჭოთა წყობილების სიმტკიცე, სიცოცხლისუნარიანობა, გეგმიანი საბჭოთა ეკონომიკის დიდი უპირატესობა ყველა მეომარი ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით.

ლენინ—სტალინის პარტიის დიდი ორგანიზატორული მუშაობის, ფრონტებზე და ზურგში საბჭოთა ხალხის სწორუპოვარი გმირობის შედეგად შესაძლებელი გახდა ომის პირველი წლის სიძნელეთა გადალახვა და ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაცია მტრის გასანადგურებლად. საბჭოთა კავშირმა ორთაბრძოლაში გაანადგურა ჰიტლერული გერმანია, ხოლო შემდეგ იმპერიალისტური იაპონია.

დიდ სამამულო ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი წარმატებით შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის (1946-1950 წლები) ძირითად სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას შეადგენდა სსრ კავშირის დაზარალებული რაიონების აღდგენა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეოთხე ხუთწლედი ითვალისწინებდა პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენას, ურომლისოდ შეუძლებელი იყო მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება. ომის დროს სსრ კავშირმა დიდი მატერიალური ზარალი განიცადა. ომმა ჩვენი მრეწველობის განვითარება დაახლოებით ორი ხუთწლედით შეაჩერა.

საბჭოთა ხალხმა ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ომისშემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე წარმატებით შესრულება. დავალებანი მრეწველობის დარგში შესრულებულ იქნა 4 წელიწადსა და 3 თვეში. სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ 73 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. მთელი მრეწველობის ძირითადი ფონდები 1950 წელს 58 პროცენტით გაიზარდა 1940 წელთან შედარებით. ხუთწლედის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 6 ათასზე მეტი საწარმო წვრილ საწარმოთა ჩაუთვლელად. სსრ კავშირის სამშენებლო ინდუსტრია განვითარდა და გამდიდრდა ისეთი სრულყოფილი მექანიზმებით, რომელთა ბადალი არ მოიპოვება კაპიტალისტურ ევროპასა და ამერიკაში.

დიდი წარმატებანი იქნა მოპოვებული მეოთხე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში. მარცვლეული კულტურების მოსავალმა 7.600 მილიონ ფუთს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, სელის და სხვა ტექნიკური კულტურების საერთო მოსავლიანობა.

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1940 წლიდან 1951 წლამდე 83 პროცენტით გაიზარდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 38 პროცენტისა. ხუთწლედის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 7.700 ათასი კაცით. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების რიცხვი სახალხო მეურნეობაში თითქმის გაორკეცდა. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის 74 პროცენტი 1950 წელს მშრომელთა პირად მოთხოვნილებას მოხმარდა, ხოლო დანარჩენი 26 პროცენტი სოციალისტური წარმოების შემდგომ გაფართოებასა და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. მაშინ, როცა ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, სსრ კავშირის მშრომელთა საარსებო დონე სასურსათო და საძრეწველო საქონელზე ფასების სისტემატური შემცირებისა და მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდების შედეგად განუხრელად მაღლდება. დამახასიათებელია, რომ ამერიკაში ბინის ქირა მუშის ოჯახის ბიუჯეტის 25-40 პროცენტს შეადგენს, ხოლო საბჭოთა კავშირის მუშა ბინის ქირისათვის თავისი ბიუჯეტის დაახლოებით 4 პროცენტს ხარჯავს. 1952 წელს ჩვენში მოსწავლეთა კონტინგენტი საშუალო სკოლებსა და ტექნიკუმებში 57 მილიონს შეადგენს ანუ 8 მილიონით მეტია, ვიდრე ომამდე.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ კომუნიზმის მშენებლობის გამლილ პროგრამას წარმოადგენს. იგი სსრ კავშირის თავისუფალ ხალხთა სისხლსავსე ცხოვრებისა და დაუცხრომელი წინსვლის ახალი დამადასტურებელი დოკუმენტია. დირექტივები ითვალისწინებენ სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას დაახლოებით 70 პროცენტით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამრეწველო წარმოების ზრდის თვითეული პროცენტი, მაგალითად, 1937 წელს შეადგენდა 810 მილიონ მანეთს. ანუ 18-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1925 წელს, ხოლო მეხუთე ხუთწლედში ზრდის თვითეული პროცენტი ბევრად აჭარბებს ომამდელ 1940 წლის დონეს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის შესაბამისად პარტიის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს პირველ რიგში მძიმე მრეწველობის განვითარებას და მის შედარებით უფრო მაღალ ტემპს. ახალ ხუთწლედში წარმოების საშუალებათა წარმოება (მრეწველობის „ა“ ჯგუფი) გაიზრდება 13 პროცენტით, ხოლო მოხმარების საშუალებათა წარმოება („ბ“ ჯგუფი)—11 პროცენტით. ასეთი პროპორცია სამრეწველო პროდუქციის 12 პროცენტით საშუალწლიური ზრდის პირობებში უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. 1955 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით ერთისამად გაიზრდება და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მნიშვნელოვან აღმავლობას.

მეხუთე ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე. სახალხო მეურნეობის ამ დარგში ცენტრალურ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობრივი ზრდა და მისი პროდუქტიულობის გადიდება. დირექტივები ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ მექანიზაციას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებას, მიწურნილი ბიოლოგიური მეცნიერებისა და მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვას.

ახალ ხუთწლედში არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული საქონელბრუნვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარების დარგში.

ბუნების გარდაქმნის დიადი სამუშაოები, რომლებიც მეოთხე ხუთწლედში დაიწყო, წარმატებით მიმდინარეობს. შენდება უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები და სარწყავი სისტემები. მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. აღნიშნულ და მრავალ სხვა ღონისძიებებში, რაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ხორციელდება ჩვენში, საბჭოთა კავშირის

პარტიული ცხოვრება

გორის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

XIX ყრილობა წარმოადგენს დიდ ისტორიულ მოვლენას ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში.

ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის გადაჭრით გარდაქმნას, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ბოლომდე აღმოფხვრას.

ამის შესახებ ლაპარაკობდნენ XIX ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, მომხსენებელი — პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. დ. რომელაშვილი და კამათში მონაწილე ამხანაგები.

— აუცილებელია შემდგომ გავაძლიეროთ მასების შრომითი აღმავლობა, რაც გამოიწვიეს XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ, — აღნიშნა ამხ. რომელაშვილმა, — მთელი ძალები დავარაზმოთ იმისათვის, რათა წარმატებით შევასრულოთ ახალი ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის საწარმოო დავალებანი. ჩვენი ქალაქის საწარმოებმა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მიმდინარე წლის ათი თვის საწარმოო გეგმა 108,2 პროცენტით შეასრულეს და ქვეყანას მრავალი მილიონი მანეთის პროდუქცია მისცეს გეგმის გადამეტებით.

მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახლებურად და საწარმოო გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან არტელები. ათი თვის გეგმები ვერ შეასრულეს აგრეთვე ხორცკომბინატმა, ხე-ტყის გასაღების გორის კანტორამ, ქალაქის საბჭოს სამრეწველო კომბინატის ფართო მოხმარების საქონლის წარმოებამ.

მომხსენებელი შეჩერდა გორის მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკითხებზე, ილაპარაკა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაზე და აქტივის ყურადღება გაამახვილა მშენებლობაში არსებული ჩამორჩენის უახლოეს მომავალში გამოსწორების ღონისძიებებზე. სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ჩამორჩენა პირველ რიგში მშენებლობათა ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია.

ამხ. რომელაშვილმა აღნიშნა პარტიის შეცვლილი წესდების უდიდესი მნიშვნელობა შინაპარტიული დემოკრატიის დაცვის, პარტიული მასების აქტივობის გაძლიერების, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის განვითარების, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. ლოლაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ინსტიტუტში ფართოდ გაჩაღდა ყრილობის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება და შესწავლა. ეწყობა თეორიული კონფერენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების მიხედვით.

სიტყვით გამოსულმა გორის საკონსერვო ქარხნის მოწინავე ბრიგადირმა ამხ. ე. ბერიძემ თქვა: ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 21 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს ათეულ ათასობით პირობითი ქილა საკონსერვო ნაწარმი. ათი თვის დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. სამადალაშვილმა განაცხადა: ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს უპასუხებს სოციალისტურ შეჯიბრებაში თავისი აქტივობის ამაღლებით. მრავალმა ახალგაზრდა მუშამ გადაჭარბებით შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა. ამასთან ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ უთმობს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სწავლების საქმეს. არის ახალგაზრდებს შორის შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ახალგაზრდა მუშათა აღზრდის საქმე დაბალ დონეზე დგას გორის ბამბეულის კომბინატში, ხოლო კომბინატის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს კომკავშირული მუშაობის საკითხებს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ე. ამბოკაძემ აქტივის კრებას მოუთხრო, თუ როგორ გაშალა პარტიულმა ორგანიზაციამ ყრილობის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება და შესწავლა სტუდენტთა შორის და მოსახლეობაში.

პარტიისა და მთავრობის დახმარების შედეგად, — თქვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგემ ამხ. დ. თავზარაშვილმა, — ჩვენს ქალაქში დიდი მასშტაბით წარმოებს კომუნალური მშენებლობანი. ფართოვდება წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი, შენდება ახალი სკვერები, მოედნები, ასფალტით იფარება ქუჩები და ტროტუარები. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. უნდა გავაძლიეროთ მშენებლობათა ტემპი. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ტრესტ „გორმშენის“ ხელმძღვანელობას.

ტრესტ „გორმშენის“ პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. ტეტუნაშვილმა თავის გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო საწარმოო საკითხებს, მაგრამ იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა პარტიული ორგანიზაცია ყრილობის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისათვის, როგორ დარაზმა მშენებლები მასზ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად, მას თითქმის არაფერი უთქვამს.

პარტიულმა აქტივმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონა XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

„კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი — გორის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქცია.



უკანასკნელ წლებში ხუხუმი დაამშვენა მრავალმა ახალმა შენობამ, რომლებიც გამოირჩევიან ლამაზი ნაგებობით, სიმტკიცით და არქიტექტურული გაფორმებით. დიდი ხანი არ არის, რაც აშენდა ხუხუმის ექიმთა სახლი. შენობაში მოწყობილია კაბინეტები, სალექციო და ფიზკულტურული დარბაზები. გარდა იმისა, რომ ამ სახლში წარმოებს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა და იკითხება ლექცია-მოხსენებები, აქვე შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მედიცინის მუშაკებმა კულტურულად დაისვენონ.

სურათზე: ხუხუმის ექიმთა სახლის ხედი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საშემოდგომო თესვა

ბოლნისელებმა თავი უნდა დააღწიონ ჩამორჩენას

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა 13.450 ჰექტარზე უნდა დათესონ საშემოდგომო ხორბალი, მაგრამ შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად ეს სამუშაო რაიონში სამარცხვინოდ ჩამორჩა. 10 ნოემბრისათვის თესვის გეგმა შესრულებული იყო 48,4 პროცენტით. ამის მიზეზი ის არის, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს. ბოლნისის მტს-ში ხშირად ცდება ტრაქტორები. ამას წინათ ტრაქტორი, რომელსაც ვ. ციმაკურიძე მართავდა, სოფელ კაზრეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში, ნაწილების დაზიანების გამო უქმად იდგა. კოლმეურნეობის სახელოსნოში დაზიანებული ნაწილის დამზადება შეიძლებოდა, მაგრამ არც ტრაქტორისტს და არც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ავქოფაშვილს ადგილზე მისი დამზადებისათვის თავი არ შეუწუხებიათ. ტრაქტორების მოცდენის ხშირ შემთხვევებს ვხვდებით დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის და სოფელ ქვემო ბოლნისის კოლმეურნეობებში.

დაბა ბოლნისის კოლმეურნეობაში გამგეობის მოუქნელი მუშაობის შედეგად თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 34,4 პროცენტით. 140 ულელი მუშა-პირუტყვი და 66 ცხენი გამოუყენებელია თესვის სამუშაოებში. სათეს კონდიციამდე თესლის აყვანის დარგში მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. 1.800 ცენტნერი თესლი უკონდიციო აქვთ.

სოფელ დაშტიკულიარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში დასათესი აქვთ 380 ჰექტარი. მოსახნავი ფართობი ახლაც გაუწმენდავია სიმინდის ნარჩენებისაგან. 370 ცენტნერი თესლეული უკონდიციოა, მაგრამ ამ მდგომარეობას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხალიღოვი რატომღაც გულდამშვიდებით შესცქერის. ეხვდებით თესვის აგროწესების დარღვევასაც. ამ კოლმეურნეობის სოფელ სისკალის ნაკვეთში 10 და 11 ნოემბერს ისე დათესეს ხორბალი, რომ თესლის დიდი ნაწილი მიწაში არ იყო ჩაფლული. სოფელ ქვემო ბოლნისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ტ. მუსაევი) თესვის გეგმის შესასრულებლად არ ჩქარობენ. აქ ეს სამუშაო მხოლოდ 27,7 პროცენტით არის შესრულებული, მოსახნავია 145 ჰექტარი. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის კონდიციური თესლით. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ კოჩულის კალინინის, სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის, სოფელ ტანძიის ორჯონიკიძის და სხვა კოლმეურნეობებში.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები და აგრონომები ნაცვლად იმისა, რომ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, რაიონში გამოყენებული ჰყავთ უმთავრესად პარტიის რაიკომის ბიუროსა და აღმასკომის სხდომებისათვის პროექტების შემდგენლებად (მაგალითად, განყოფილების გამგე ი. ლომინეიშვილი, მთავარი აგრონომი ე. მირაქოვი, უფროსი აგრონომი ბ. მარალეევიჩი და სხვები).

პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში ხშირად იწვევენ თათბირებს და სხდომებს თესვის საკითხებზე, თავიანთ „რწმუნებულებსაც“ გზავნიან ადგილებზე, მაგრამ ასეთ თათბირებსა და სხდომებს დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ბოლნისში თესვა სერიოზულად ჩამორჩა. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი და სასწრაფოდ აღკვეთონ თესვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ვ. ხოფერია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნაშრომები რუს კლასიკოსზე

შრომები, რომლებიც ეხება დიდი რუსი ხალხის ლიტერატურის კლასიკოსებს და მათს კავშირს ქართულ კულტურასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ასეთ შრომათა რიცხვს ეკუთვნის ანა ნიკოლაძის ახლახან გამოსული ორი წიგნი ნ. ვ. გოგოლისა და მაქსიმ გორკის შესახებ.

ანა ნიკოლაძის ნაშრომი გოგოლის შესახებ მონოგრაფიული ხასიათისაა. წიგნში განხილულია რუსული პროზის ბრწყინვალე ოსტატის ცხოვრების ეზა და შემოქმედების მთავარი მომენტები. ავტორი ხაზს უსვამს გოგოლის შემოქმედების ღრმა ეროვნულ და ამავე დროს საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობას.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გოგოლის რეალიზმის მამხილებელ ხასიათს, დამაჯერებლად გვისურათებს „მკვდარი სულების“ ავტორის როლს რუსული კრიტიკული რეალიზმის დაფუძნების საქმეში. „პეტერბურგის მოთხრობების“ და გოგოლის დრამატურგიის მხატვრული სახეების სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე ა. ნიკოლაძე ნათლად ახასიათებს გოგოლის რეალისტური სატირის ძალას, წარმოგვიდგენს გოგოლს, როგორც „რუსული სიცილის მეუფეს“.

ავტორი მკითხველს აცნობს გოგოლის შემოქმედებითი მეთოდის — კრიტიკული რეალიზმის თავისებურებას, მწერლის სტილის დამახასიათებელ თვისებებს. შრომაში ავტორი სპეციალურად არკვევს აგრეთვე გოგოლის ენის საკითხს. „რუსული სალიტერატურო ენა, — წერს იგი, — ახალი სტილისტური ელემენტებით გაამდიდრა გოგოლის მხატვრულმა შემოქმედებამ. გოგოლმა გააფართოვა რუსული სამწერლო ენის ფუნქციათა არე, ახალი ყოერადობა მისცა მას და კიდევ უფრო დაუახლოვა ხალხურ მხატვრულ სიტყვიერებას“ (გვ. 62).

წიგნის ავტორი საგულისხმო დასკვნებს აკეთებს გოგოლის სიტყვიერ-მხატვრულ სისტემაში სიტყვისა და სახის შინაგანი კავშირის შესახებ. შემდეგ ავტორი აშუქებს ტიპიურობის საკითხს გოგოლის შემოქმედებაში, დიდ ადგილს უთმობს გოგოლის ხალხურობას და პატრიოტიზმს. „გოგოლი,—წერს ავტორი, — არა მარტო ამხელდა და გმობდა ბატონ-ყმური ულლის ქვეშ მოქცეულ ძველ რუსეთს, არამედ წინასწარმეტყველურად ჭვრეტდა კიდეც, რომ ნამდვილ რუსეთს, მის დიდ და ძლიერ ხალხს აქვს უდიდესი ისტორიული მომავალი და რომ სწორედ ეს ხალხი მოწოდებულია ჩაუდგეს სათავეში მთელ მოწინავე კაცობრიობას, გაუკვლიოს მას გზა ბრწყინვალე და თავისუფალი ცხოვრებისაკენ“ (გვ. 68).

სარეცენზიო წიგნში განხილულია გოგოლის კავშირი ქართულ კულტურასთან. ავტორი მრავალი ფაქტით გვიჩვენებს, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ მწერლობაში გოგოლის შემოქმედებამ და რა მწვავე ბრძოლა წარმოებდა საქართველოში მისი სახელის გარშემო. იმ დროს, როცა დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე ადიდებდნენ გოგოლის სახელს, მეფის მოხელე ვიმმე ინსპექტორი კრუპენინკოვი გულისწყრომას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ გოგოლს პირველი ადგილი ჰქონოდა დათმობილი ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ საზელმძღვანელოში, „რუსკოე სლოვოში“.

წიგნის ბოლოს ავტორი ხაზს უსვამს გოგოლის სატირის მნიშვნელობას ჩვენი დღეებისათვის. ავტორი აღნიშნავს, რომ დიდი რუსი მწერლის მხატვრული სახეები დღესაც გვეხმარება იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია საბჭოთა ადამიანების ნაწილის ცნობიერებაში წარსულის გადანაშთების აღმოსაფხვრელად.

ანა ნიკოლაძის ნაშრომი დიდ რუს კლასიკოსზე უეჭველად სასარგებლო წიგნია. ავტორმა შეძლო ეჩვენებინა გენიალური მწერლის შემოქმედებითი სახე.

წიგნს აქვს ნაკლიც. ავტორს მეტი ყურადღება უნდა დაეთმო გოგოლის დრამატურგიისათვის და დაეკავშირებინა იგი საბჭოთა დრამატურგიის საჭირბოროტო საკითხებთან.

ამავე ავტორის მეორე წიგნი „მაქსიმ გორკი და ქართული კულტურა“, თავისი მცირე მოცულობის მიუხედავად, საკმაო ინტერესს იწვევს.

როგორც ცნობილია, მაქსიმ გორკის შემოქმედებითი ბიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. ავტორი ჩერდება ქართულ კულტურასთან გორკის დამოკიდებულების თითქმის ყველა მთავარ საკითხზე. ყურადღებას იმსახურებს თვით ავტორის მიერ ჩაწერილი მოგონებანი გორკის თბილისელი მეგობრებისა, რომელთა უმეტესობა დღეს ცოცხალი აღარ არის. ავტორი აგვიწერს მ. გორკის ურთიერთობას ქართველ მწერლებთან, გორკის პირველი მოთხრობის „მაკარ ჩუდრას“ დაწერის ისტორიას. ავტორს მოჰყავს ფაქტები, რომ თბილისშიეცა დაწერილი გორკის პოემა „სიკვდილი და ქალიშვილი“, რომელიც დიდმა სტალინმა მისი ოპტიმისტური იდეის გამო გოეთეს „ფაუსტზე“ მაღლა დააყენა.

წიგნში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გორკის კავშირს თბილისის მუშათა წრეებთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში.

ავტორის აზრით, ადრეული პერიოდის გორკის რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის თბილისის შთაბეჭდილებებს და მის ურთიერთობას რკინიგზის სახელოსნოების მუშებთან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ავტორი არკვევს აგრეთვე თბილისის ე. წ. იაფი ბიბლიოთეკის როლს ახალგაზრდა გორკის თვითგანვითარებისათვის.

წიგნში სპეციალური თავები აქვს მიძღვნილი თემებს — „გორკის ქართული თარგმანები“, „გორკი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, „საქართველო გორკის შემოქმედებაში“.

ანა ნიკოლაძის ორივე ნაშრომი დაწერილია კარგი ქართული ენით.

სარეცენზიო წიგნები ნათლად გვიდასტურებენ ქართული მწერლობის მჭიდრო კავშირს და ახლო ურთიერთობას პროგრესულ რუსულ კულტურასთან, რუსული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობას. ყოველი ასეთი ნაშრომი მისალმებისა და წახალისების ღირსია.

ბ. კეთილაძე.

თეატრი

„დაბრუნება“

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

ს. კლდიაშვილის ახალი პიესა „დაბრუნება“ უმღერის ახალს — ქალაქების გარდაქმნას, მონუმენტებით დამშვენებულ ბაღებს, შაერეენებით გაცოცხლებულ ხეივნებს, ახალ სასახლეებს, ფერწერით შემკობილ დარბაზებს და, რაც მთავარია, იგი უმღერის ჩვენი დროის გმირებს—უბრალო საბჭოთა ადამიანებს, მათს მაღალ მორალურ თვისებებს: მათს სპეტაკ სიყვარულს, მტკიცე მეგობრობას, ხასიათის მთლიანობას, თავდადებულ შრომასა და ხალისიან, მჩქეფარე სიცოცხლეს, ურთიერთისადმი წმინდა და გულწრფელ დამოკიდებულებას, უსაზღვრო ერთგულებას სამშობლოსადმი, ლენინ—სტალინის პარტიისადმი. ახალგაზრდა მშენებელი ინჟინრის თთარის სიტყვები ამ პიესის დედაზრს გამოხატავს: „კარგი ბაღია ჩვენი ქალაქი, უკეთესი, ვინმემ ოოცნებობდით. ის აშენა სიყვარულმა, სიყვარულმა ადამიანისადმი. ამას აშენებდა არა ერთი ვინმე, არამედ კოლექტივი, ხალხი. ასე აშენებენ მხოლოდ ისინი, ვისაც ერთმანეთის სიკეთე სურს. ჩვენს შორის ხომ არავის არ ამოქმედდა მხოლოდ პირადი, თავისი თავის ამაღლების და გამოჩენის სურვილი — ჩვენ გვინდოდა, რომ ყველაფერს ემსახურა ხალხის, სახელმწიფოს ამაღლებისათვის. ჩვენ პატიოსნად და სიყვარულით ვაკეთეთ ყოველივე, რაც პარტიამ დაგვავალა“.

სერგო კლდიაშვილის ეს პიესა საბჭოთა მორალის მქადაგებელია. მწერალი გვიჩვენებს ცხოვრების სიმართლეს, სიყვარულით და სიამაყის გრძნობით გვიხატავს ახალს; ამასთან მწერალი ძველის გადმონაშთს, რაც ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას წინ ეღობება, ნიღაბს გლეჯს და ამთარახებს. ამ პიესით ავტორი ამთარახებს ეგოიზმს, პატივმოყვარეობას, — ადამიანს რომ ახიავებს, პატარა კაცუნად რომ გადააქცევს. დრამატურგი ამთარახებს ზოგიერთ ადამიანში შემორჩენილ განდიდების მანიას, თავისი მოვალეობის დავიწყებას. ყოველივე აქედან ცხადია, რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ზორცშესხმულ ამ ნაწარმოებს ნამდვილად აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი (ა. დაუშვილი) არქიტექტორს თომა თოლაშვილს (ტ. საყვარელიძე) სთხოვს დაასახელოს მოქანდაკე, რომელიც შეძლებს ბელადის მონუმენტი შექმნას. თომა თავის შვილზე მიუთითებს, რაკი სჯერა, რომ ის გაამართლებს ამ ნდობას და აი ახალგაზრდა მოქანდაკემ დათა თოლაშვილმა (ს. ზაქარიაძე) უკვე ჩამოქნა მონუმენტის ესკიზი, მაგრამ ამ დროს იგი ოჯახში უღირსად იქცევა: ცოლ-შვილზე გული აიცრუა და სურს ოჯახს გაექცეს. ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი ამ წარმოდგენაში ის სცენაა, სადაც სახლიდან გასაქცევად გამზადებულ დათა თოლაშვილს მამისა და თინას შემოსვლა შეაჩერებს. აი მოცელილივით ჩაეშვა თომა სავარძელში და შვილის უკადრის სიტყვებს ისმენს. თქვენ გრძნობთ, თუ რა ქარტეხილი ტრიალებს ჭაღარა მშობლის გულში, სადაც მამაშვილურ სიყვარულსა და სამშობლოს ადამიანის მოვალეობას ურთიერთ შორის ჯიდილი გაუმართავთ. გაწნა თინასათვის კი ადვილია ძმასავით თანშეზრდილი დათას ასე დაუზოგავად გამათრახება? ეს პიესა, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, სულისა და გულის ძვრაზეა აგებული, ამ სცენის თვითეული მოქმედი გრძნობათა ჯიდილით არის შეპყრობილი, და ამიტომაც ნამდვილი დრამაა, ამიტომაც ნამდვილად განიცდის მას მაყურებელი.

თოლაშვილების ოჯახში გაზრდილი ქალიშვილი თინა (თ. თეთრაძე) მიმართავს დათას: „ატელიეში სამუშაოდ მგეგზავრება? შემოქმედება მოგაწოდებს?.. შენ აპირებ შექმნა ისეთი მონუმენტი, რომელიც ჩვენი დროის სიწმინდე და კეთილშობილება უნდა გამოსახოს?.. შენ აპირებ-ბელადის სახე გამოძერწო? ეს ჩვენი სიწმინდე, ყველაზე სათნო და საყვარელი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, მაგ შენი ხელებით, მაგ შენი გულით?“... და შშობელი მამა შემოქმედებითს უფლებას აჭყრის თავის ვაჟიშვილს: „მართალია, შენ ვერ შეძლებ. აღარა მაქვს შენი იმედი. თუმც ვცდებოდი შენში. შეუძლებელია შენი ბუნების ადამიანი შემოქმედი იყოს“. თავგზაბნეული დათა კი გაიძახის: „ამორალურ პიროვნებად მთვლის. კეთილი, წარმოვიდგინოთ ასეთი ვარ. მერე?! ვერ ვენდობიო, ამორალური ადამიანი შეუძლებელია შემოქმედი იყოსო... არ მესმის ეს სიბრძნე“.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ ურთიერთობაში უაღრესად პრინციპულნი არიან. ის, ვინც პირად ცხოვრებაში უღირსია, ის ვერც საზოგადოებრივ საქმიანობაში იქნება ღირსეული—ასეთია ამ პიესის მორალი.

დრამატურგი ამ პიესაში ერთმანეთს აბვედრებს დათა თოლაშვილის მეუღლეს მანანას (მედეა ჯაფარიძე) და მხატვარ ნინო ბერიშვილს (მ. თბილელი)—დათას ახლადშეყვარებულ ქალს. ბურჟუაზიულ პიესებში ასეთი შეხვედრები წარმოდგენილია ანჩხლი და კაპასი დედაკაცების ლანძღვა-გინებით და ცემატყეპით. სულ სხვაგვარად არის ასეთი შეხვედრა დახატული ამ პიესაში. მანანა და ნინო საბჭოთა ადამიანები არიან. ისინი ხასიათის ახალ თვისებებს იჩენენ, ისინი პატივისცემით ეკიდებიან ურთიერთის ჯრძნობას. მათი შეხვედრა, მათი ამაღელვებელი დიალოგი ბრწყინვალედ არის დაწერილი. აქ იგრძნობა გულისტკივილიც, მაგრამ ღირსეული ადამიანის თავშეკავებაც; ისინი ერთმეორეს ეხმარებიან შექმნილ მდგომარეობაში არ დაიბნენ და სიფხიზლე შეინარჩუნონ, სწორად შეაფასონ საქციელი საყვარელი ადამიანისა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ჩვევებით და ტრადიციებით არის შებოჭილი და გზადაბნეული. წრფელი განცდით და ოსტატური გადასვლებით დაწერილი ეს დიალოგი ჩვენი ადამიანების მაღალი კულტურის, სოციალისტური ჰუმანიზმის, სულიერი სიმდიდრის, ნებისყოფის სიმტკიცის, ზნეობრივი სილამაზის შთამბეჭდავი და შთამაგონებელი გამოხატულებაა. ამიტომ დიდია სადა და ნათელი ქართულით დაწერილი, სულიერი მელევარებით და მოქმედებით აღსავსე ამ დიალოგის ზემოქმედება.

ამ პიესით მხილებულია მანკიერება ზოგიერთი იმ ადამიანისა, რომელიც ცდილობს თავისი უღირსი საქციელი გაამართლოს მხატვრული ძიებით. დათა თოლაშვილი ცდილობს ოჯახიდან გაქცევა. ცოლშვილის მიტოვება შენიღბოს და შეალამაზოს შემოქმედებითი მისწრაფებით და ამ საბაბით ამხანაგებისაგან მხარდაჭერას და თანაგრძნობას მოითხოვს. პიესაში ნაჩვენებია, თუ როგორ იქცევა ასეთ შემთხვევაში კომუნისტი სულისკვეთებით აღზრდილი, მაღალი მორალის მატარებელი ახალგაზრდობა. თინა, ოთარი (ი. ტრიპოლსკი), ლადო (გ. ტატიშვილი) პრინციპულ შეურიგებლობას იჩენენ. ამხილებენ და ამთარახებენ დათას საქციელს.

ბურჟუაზიულ პიესებში ქმრისაგან მიტოვებული ქალი მარტო რჩება, ის დაწიხლული და დაჩაგრული არსებაა, ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან ათვალწუნებული. სულ სხვაა საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც ქალს ცხოვრების ფართო სარბიელი აქვს გადაშლილი. ეს მოვლენაც ს. კლდიაშვილის პიესაში ნათლად არის გამოხატული. რაკი მანანა ღირსეული ადამიანია, ყველა ცდილობს მას მხარი დაუჭიროს, უღირსი ადამიანისაგან მიყენებული ტკივილი შეუმსუბუქოს, ერთი წუთითაც არ სტოვებენ მას. გამხნევებული მანანა ინსტიტუტს უბრუნდება, უმაღლეს განათლებას იღებს, ლაბორანტად იწყებს მუშაობას და ემზადება ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. მანანა ცხოვრების ნაოელ გზაზეა დამდგარი. თავისი ღირსების შეგნებით შრომობს და იღვწის.

ბურჟუაზიული მორალი უარყოფს სხვადასხვა თაობათა მეგობრობას. ბურჟუაზიულ პიესებში მოხუცები ახალგაზრდებს უპირისპირდებიან. საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ძველი და ახალი კადრების ერთსულოვანი შრომა, თაობათა ნამდვილი მეგობრობა. ს. კლდიაშვილმა ჩვენი ცხოვრების ეს მხარეც სიმართლით ასახა თავის პიესაში და გვიჩვენა, თუ როგორი მეგობრული სიყვარულით არიან დაკავშირებული თომა, დიმიტრი, ლადო, მარიამი, მანანა, თინა და ოთარი.

ს. კლდიაშვილის პიესის გმირები ცოცხალი ადამიანები არიან. დრამატურგი დიდი ყურადღებით მოჰკიდებია მათ სულიერ სამყაროს, და თუ ყველას არა, ზოგიერთს მაინც წარმოგვიდგენს მათი სულიერი სახის მთელი სიმდიდრით. მთავარი გმირები აღჭურვილი არიან საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი მაღალი კულტურით, სულიერი ინტერესების სიფართოვით, მათი თვალთახედვის არე ვრცელია, მათი თვალთახედვის ისარი შორს სწვდება. ამ პიესის გმირები განვითარების პერსპექტივით არიან ასახულნი, პიესის მთელი მოქმედება გამსჭვალულია მომავალზე ფიქრითა და ზრუნვით.

ს. კლდიაშვილი ფართოდ სარგებლობს განსახიერების კონტრასტული ხერხით, რაც პიესას მოულოდნელობით და ინტერესით ამძაფრებს. დრამატურგს ახასიათებს ამა თუ იმ საინტერესო სცენის ყველაზე საინტერესო მომენტში უეცარი და ოსტატური შეწყვეტა. პიესას მხატვრულად ამდიდრებენ მწერლის მახვილი თვალით შენიშნული და პიესაში დიდი ტაქტით და გემოვნებით გამოყენებული ფსიქოლოგიური დეტალები (მაგალითად, დათას მიერ თავისი ბავშვის ჩვეულების მოგონება, მანანას მიერ ქმრის სახელოსნოში ქაღალდის ადგილად პოვნა და სხვ.).

მაგრამ პიესას ნაკლიც აქვს, რაც, სამწუხაროდ, ავტორმა თეატრთან მუშაობით ვერ გამოასწორა. პიესაში დათა თოლაშვილის გარდაქმნა მოქმედებით არ არის ნაჩვენები. ამიტომაც მისი ოჯახთან დაბრუნება დაუსაბუთებელია. ნინოს გადაწყვეტილება დათასთან განშორებისა უეცარია, მოუმზადებელი და რამდენადმე დაუჯერებელიც. ზოგიერთი მოქმედი პირი ხორცშესხმული არ არის. მათ არ გააჩნიათ ხასიათის ინდივიდუალური ნიშნები, ერთიმეორეს ჰგვანან. დიმიტრი — სქემატური სახეა და მოქმედების რკალგარეშეა დარჩენილი. გაბრიელიც სასურველია უფრო მეტად იყოს მოქმედებაში ჩართული. ლადო და ოთარი მეტისმეტად უმოქმედო და უსიტყვო არიან დათასთან სახელოსნოში. პიესის ტექსტი ზოგან მეტისმეტად ძუნწად არის მოცემული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ პიესის დამდგმელი ახალგაზრდა რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე. ზომიერება, თავდაჭერილობა და მხატვრული სისადავე, რასაც რეჟისორები ათეული წლების დაძაბული შემოქმედებითი შრომით აღწევენ, ახალგაზრდა რეჟისორს აქედანვე ახასიათებს. ეს გვიჩვენა მის მიერ გორში დადგმულმა პიესამ „ნაპერწკლიდან“, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებულმა „სასტუმროს დიასახლისმა“ და, ამჯერად — „დაბრუნებამ“.

შემსრულებლები „დაბრუნებაში“ იმდენად მართლად ცხოვრობენ სცენაზე, რომ მათი განცდები აღწევენ უკანასკნელ რიგებამდე, თუმცა ზოგჯერ ხმადაბლად ნათქვამი ესა თუ ის სიტყვა იკარგება. ოჯახიდან დათას წასვლის სცენა, სცენები ატელიეში, მანანას და დათას შეხვედრა საფინალო სურათში ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ არა მარტო იმიტომ, რომ ამ პიესის დამდგმელს სწორად გაუზრებული მხატვრული გამომსახველობა მოუნახავს ახლის ძველთან ბრძოლისათვის, არა მარტო იმიტომ, რომ დათას როლს მაღალნიჭიერი ს. ზაქარიაძე ასრულებს და მას გარს ახვევია სამაყო არტისტული ახალგაზრდობა, არამედ იმიტომაც, რომ რეჟისორის მეთაურობით მსახიობთა კოლექტივი თანამედროვე თემაზე დაწერილ ახალ პიესას განსახიერებს სიამაყის გრძნობით, სიყვარულით.

მანანას როლში მედეა ჯაფარიძე ახერხებს თავიდან აიცილოს როლის დატვირთვით შესრულების ნაკლი, რასაც ის ზოგჯერ მანერულობამდე მიჰყავდა. მსახიობი მანანას როლის განსახიერებით უკუაგდებს ქალური სინაზით და მიამიტობით სცენაზე კოპწიაობას, რაც მის თამაშს ხშირად ახასიათებდა. ამ როლში მედეა ჯაფარიძე ნამდვილად ცხოვრობს სცენაზე, ამაღელვებლად გვიხატავს ქმრისადმი გულწრფელ სიყვარულს, ახალგაზრდული სიხალისით გაჩიცდის ოჯახურ ბედნიერებას, გულის შემძვრელი გრძნობით გადმოგვცემს უარყოფილი სიყვარულის სიმწვავეს და სულიერ ტკივილებს. უძნელესი დიალოგის გამართვაში ის იჩენს ნამდვილ ოსტატობას, გარდასახვის სრულ ძალას, გულისხმიერად უსმენს პარტნიორს და ყოველ სიტყვას გულითადად წარმოთქვამს. მედეა ჯაფარიძის მიერ განხორციელებული საბჭოთა ადამიანის ეს სახე ქართული თანამედროვე სცენის საუკეთესო ქმნილებათა გალერეას უნდა მივაკუთვნოთ, რადგან იგი შესრულებულია მომხიბვლელი ნიჭით, ნ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაიწყო განხილვა საკითხისა სამხრეთ აფრიკაში რასობრივი კონფლიქტის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის მიერ რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგს. უფრო ადრე კომიტეტმა უკვე განიხილა სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდოელთა დევნის საკითხი. საკითხი, რომელსაც ახლა იხილავენ, ეხება სამხრეთ აფრიკის კოლონიზატორების მიერ ზანგებისა და მკვიდრი მოსახლეობის ყველა სხვა ჯგუფის რასობრივ დევნას. ეს საკითხი გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში შეტანილია 13 ქვეყნის: ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, იემენის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, ირანის, ლიბანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიისა და ფილიპინების დელეგაციების წინადადებით.

სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ წერილში 13 ქვეყნის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის შედეგად, რასაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს, „იქმნება ისეთი სოციალური სისტემა, რომლის დროსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მოსახლეობა, რომელიც თეთრ რასას არ ეკუთვნის და მკვიდრი მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს, მუდამ უარეს მდგომარეობაში იქნება, ვიდრე თეთრების უმცირესობა“.

კომიტეტის სხდომაზე პირველი გამოვიდა სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ მის მთავრობას უკანონოდ მიაჩნია გენერალური ასამბლეის სესიაზე ამ საკითხის განხილვა და მტკიცედ მოითხოვს ამ პუნქტის გამორიცხვას კომიტეტის დღის წესრიგიდან.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა პანდიტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კომიტეტს არა თუ აქვს უფლება, არამედ ვალდებულიც არის განიხილოს საკითხი სამხრეთ აფრიკაში რასობრივი კონფლიქტის შესახებ. მან განაცხადა, რომ იმ ქვეყნების მოსახლეობა, რომლებიც მოითხოვენ გენერალური ასამბლეის მიერ ამ საკითხის განხილვას, 600 მილიონი კაცია, რომელთა უმრავლესობა სერიოზულად შეშფოთებულია სამხრეთ აფრიკაში მათი თანამოძმეების დევნით.

პანდიტმა კომიტეტს მოაგონა სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის მიერ გამოცემული იმ კანონების სია, რომლებიც მიმართულია არაევროპელი მოსახლეობის წინააღმდეგ, და მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა სასტიკად დევნის ყველა რასის პოლიტიკური თანასწორობისათვის გაჩაღებული მოძრაობის მონაწილეებს. მარტო რასობრივი კანონების საწინააღმდეგო მასობრივ დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობამ სპასრობილეში ჩასვა 7 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის მოხუცები და ქალები, რომელთა შორის ბევრი პატარა ბავშვებიანად იმყოფება საპყრობილეში. როგორც პანდიტმა თქვა, პატიმრებს სასტიკად სცემენ, ისინი განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებიან.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა წაიკითხა სხვადასხვა ქვეყნის მთელი რიგი საზოგადოებრივი, რელიგიური და პროფკავშირული ორგანიზაციების განცხადებანი, რომლებითაც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის რასობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

შემდეგ გამოსულმა შვეიციისა და ნორვეგიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ინდოეთის დელეგაციის პოზიციას.

კოლონიზატორ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა თავიანთი გამოსვლით კომიტეტში ცხადყვეს, რომ ისინი აშკარად შეშფოთებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხების განხილვით, რადგან ეს საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას აქცევს რასობრივ დევნას, რასაც კოლონიზატორი სახელმწიფოები ახორციელებენ.

ინგლისის წარმომადგენელმა მოითხოვა ეს საკითხი მოეხსნათ კომიტეტის დღის წესრიგიდან იმ საბაბით, რომ რასობრივი დევნა სამხრეთ აფრიკაში თითქოს სამხრეთ აფრიკის მთავრობის „საშინაო საქმე“ იყოს. ბევრ ჩვენგანს, აშკარად განაცხადა ინგლისის დელეგატმა, აქვს თავისი საშინაო პრობლემები და არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ ეს საკითხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილნენ.

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია რასობრივი კონფლიქტების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკის შედეგად.

სხდომის დასაწყისში კომიტეტს წარუდგინეს ორი ცალკე რეზოლუცია: სამხრეთ აფრიკის კავშირის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რათა კომიტეტმა გამოაცხადოს, რომ იგი არ არის კომპეტენტური განიხილოს ეს საკითხი ან მიიღოს მის შესახებ გადაწყვეტილება; და რეზოლუციის პროექტი, რომელიც ერთობლივად წარადგინა 18 ქვეყანამ—ავღანეთმა, ბოლივიამ, ბირმამ, ეგვიპტემ, ეთიოპიამ, გვატემალამ, ჰაიტიმ, ინდოეთმა, ინდონეზიამ, ირანმა, ერაყმა, ლიბანმა, ლიბერიამ, პაკისტანმა, ფილიპინებმა, სირიამ, საუდის არაბეთმა და იემენმა და რომელიც შეიცავს წინადადებას შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია „იმისათვის, რომ შეისწავლოს და განიხილოს სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი სიტუაციის საერთაშორისო ასპექტები და შედეგები გაერთიანებული ერების წესდების მიზნებისა და პრინციპების და რასობრივი დევნისა და დისკრიმინაციის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების თვალსაზრისით და თავისი დასკვნების შესახებ მოხსენება წარუდგინოს გენერალური ასამბლეის მერვე სესიას“.

რეზოლუცია აგრეთვე წინადადებას აძლევს სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობას ითანამშრომლოს კომისიასთან და ითვალისწინებს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი კონფლიქტის საკითხი დარჩეს გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის დღის წესრიგში.

პირველი გამოვიდა ბოლივიის წარმომადგენელი კოროგა, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლივია მხარს უჭერს რეზოლუციის ერთობლივ პროექტს, რადგან, მისი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია უგულებელყოს საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რომ ბოლო მოეღოს საშიშ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია სამხრეთ აფრიკის კავშირში წარმოშობილი რასობრივი კონფლიქტით.

ეგვიპტის წარმომადგენელმა მონეიმ მუსტაფამაც მხარი დაუჭირა ამ რეზოლუციას. თავის სიტყვაში მან გააკეთა სამხრეთ აფრიკის კავშირში მიღებული რასისტული კანონების მიმოხილვა.

საფრანგეთის დელეგატმა ლაკოსტმა მხარი დაუჭირა სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციის რეზოლუციას.

პაკისტანის წარმომადგენელმა ბუხარი-შაჰმა მხარი დაუჭირა რეზოლუციის ერთობლივ პროექტს.

თავის სიტყვაში მან ამხილა აპარტეიდის პოლიტიკის ნამდვილი მიტეგები, რომლის მთავარი მიზანია, მისი სიტყვით, სამუდამოდ დაამკვიდროს სამხრეთ აფრიკის კავშირში თეთრკანიანი უმცირესობის ბატონობა. განიხილი რა რასისტული კანონების დებულება, ბუხარი-შაჰმა აღნიშნა, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც სამხრეთ აფრიკის კავშირის თეთრკანიანთა მთავრობა თანახმაა იყოს სხვა რასების წარმომადგენლებთან ერთად, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია—„ეს მათი ერთადერთი კონტაქტია, ეს მათი ერთადერთი ადგილია, სადაც ისინი, როგორც ჩანს, გვითმენენ ჩვენ“.

ამით დამთავრდა კომიტეტის სხდომა.

13 ნოემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 13 ნოემბრის დღის პლენარულ სხდომაზე სამხრეთ აფრიკის კავშირის, ირანის, ლიბანის, კოლუმბიისა და ისრაელის წარმომადგენელთა გამოსვლით დამთავრდა საერთო დისკუსია.

გუშინ პლენარულმა სხდომამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საერთო დისკუსია გენერალურ ასამბლეაზე მიმდინარეობდა არა ისე, როგორც სურდათ წარემართათ იგი ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხელმძღვანელებს. მთელი რიგი ქვეყნების დელეგატები აკრიტიკებდნენ ილინოისა და შუმანის გამოსვლებს და სრულიად ივიწყებდნენ სახელმწიფო მდივნის ჰარსნინის სიტყვას, რომელიც „შკარად გამიზნული იყო იმისათვის, რომ ტონი მიეცა დისკუსიისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე. დელეგატებმა თავიანთ სიტყვებში აღძრეს ბევრი მწავავე საკითხი, რომლებიც სურდათ მიეჩქმალათ ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხელმძღვანელებს,—კოლონიალური ზავის რაც შეიძლება მალე დადების საკითხი, ტუნისსა და მაროკოში არსებული მდგომარეობის საკითხები, ინგლის-ირანის დავა ირანის ნავთის გამო, იმ რასობრივი დისკრიმინაციის საკითხი, რომელსაც ეწევიან კოლონიზატორები სამხრეთ აფრიკაში და სხვ.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლამ გენერალური ასამბლეის ყურადღების ცენტრში მოაქცია თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ძირეული საკითხები, გამოამჟღავნა საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული იმ დაძაბულობის ნამდვილი მიზეზები, რომელსაც ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკა, და გვიჩვენა ამ დაძაბულობის ლიკვიდაციის გზები. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გამოსვლამ განსაზღვრა გენერალურ ასამბლეაზე გამართული დისკუსიის მთელი მსვლელობა. იმ ფაქტმა, რომ ბევრმა დელეგატმა მხარი არ დაუჭირა თავის გამოსვლაში კორეის შესახებ რეზოლუციის აგრესიულ ამერიკულ პროექტს და მკვეთრად გააკრიტიკა კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკა, როგორც ნიუ-იორკის გაზეთები აღიარებენ, შეშფოთება გამოიწვია ამერიკა-ინგლისის ბანკის წარმომადგენელთა შორის. ამან, მაგალითად, თავისი გამოხატულება ჰპოვა სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენლის იოოსტეს დღეგანდელ გამოსვლაში. სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა აქტიურ მონაწილეობას იღებს კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიაში და ამასთანავე კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას ახორციელებს თავის ქვეყანაში, იოოსტე აშკარად ჩიოდა, რომ ბევრი ქვეყანა თავს არიდებს კორეის ომს, „თითქოს კორეის ომი მათ არ ეხებოდეს“. სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელი მოუწოდებდა დამსწრეთ არ დაესვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად „საშიში საკითხები“, რომლებიც, როგორც მან განაცხადა, შეიძლება გამოყენებულ იქნას „პროპაგანდისათვის“. იოოსტემ განაცხადა, რომ ისეთი „საშიში საკითხების“ განხილვა, როგორიც რასობრივი დისკრიმინაციისა და კოლონიური პოლიტიკის საკითხებია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სახიფათო გზაზე აყენებს.

ირანისა და ლიბანის წარმომადგენელთა გამოსვლა პასუხი იყო სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატის ცდისა დაეცვა მძარცველური პოლიტიკა, რასაც კოლონიური სახელმწიფოები ახორციელებენ.

ირანის წარმომადგენელი ენთეზამი შეეხო კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკას კოლონიებში და დამოკიდებულ ტერიტორიებზე და აღნიშნა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ნაწილი დღემდე ცხოვრობს სიღატაკეში, მილიონობით ადამიანი, თქვა მან, შიმშილობს.

ირანის წარმომადგენელი დაწვრილებით შეეხო ინგლის-ირანის იმ კონფლიქტის ისტორიას, რომელმაც გამოიწვია დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ირანსა და ინგლისს შორის, და აღნიშნა, თუ რა უხეშად არღვევს კოლონიური სახელმწიფო — ინგლისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს. მე ვლაპარაკობ ინგლის-ირანის კონფლიქტის შესახებ, თქვა ენთეზამმა, იმისათვის, რომ დაგანახვოთ, თუ როგორ „ულობავს გზას მცირე ქვეყანას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელმომწერი დიდი სახელმწიფო თავისი პოლიტიკური ბატონობის საშუალად შენარჩუნების მიზნით“.

ირანის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა, რომელმაც გაილაშქრა ირანის მიერ თავისი ნავთის რესურსების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, ცდილობდა გამოეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი ორგანოები, კერძოდ, უშიშროების საბჭო და საერთაშორისო სასამართლო, რათა ზეგავლენა მოეხდინა ირანის მთავრობაზე. ინგლისმა, თქვა მან, დაიწყო ირანის ეკონომიკური ბლოკადა, ხოლო შემდეგ მიმართა ირანის დაშინებას თავისი შეიარაღებული ძალებით.

ირანის დელეგატმა მკვეთრად გააკრიტიკა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის საქმიანობა, რომელიც, როგორც ცნობილია, ამერიკის მონოპოლიების ექსპანსიონისტური პოლიტიკის იარაღია, და აღნიშნა, რომ ამ ბანკის მრავალი მოქმედება იმას მოწმობს, რომ მან „დაივიწყა ის მთავარი მიზანი, რომლისთვისაც იგი შეიქმნა“. აღნიშნა რა, რომ ირანის მთავრობას ინგლის-ირანის კონფლიქტთან დაკავშირებით ესაჭიროება სახსრები ირანის ეკონომიკის აღსადგენად, ირანის დელეგატმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ირანმა ჯერაც ვერ შეძლო მიეღო სესხი ამ ბანკიდან. „ამას პოლიტიკური მოსაზრებით ხომ არ სჩადის ბანკი?“—იკითხა ირანის წარმომადგენელმა.

ენთეზამმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი გადაუჭრელი ამოცანებია ომის შეწყვეტა კორეაში, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და იარაღის შემცირების საკითხის გადაწყვეტა. მან განაცხადა. რომ საერთაშორისო დაძაბულობის მთავარი მიზეზია დიდ სახელმწიფოთა შორის არსებული უთანხმოება, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ უნდა მიაღწიონ უკეთეს ურთიერთგაგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების დაცვის საფუძველზე.

ლიბანის დელეგაციის მეთაურმა ამუნმა თავისი სიტყვა დაიწყო იმის აღიარებით, რომ ხალხთა ნდობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი შერყეულია, რომ ასამბლეის ყოველ მორიგ სესიას მოაქვს იმედის ახალი გაცრუება, რადგან ცხადყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უძლურებას ომის მოახლოებული საფრთხის წინაშე. მაგრამ ლიბანის დელეგატმა ვერ გამოამეღავნა ამ მოვლენის მიზეზები, რომლებიც, როგორც ცნობილია, იმალება ამერიკა-ინგლისის ბლოკის პოზიციაში, რომელიც ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი აგრესიული პოლიტიკის იარაღად გადააქციოს. იგი დაკმაყოფილდა იმის მტკიცებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს არ იცავენ.

თავის სიტყვაში ამუნმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ხალხთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება, მაგრამ ეს უფლება კვლავ სისტემატურად ირღვევა.

ლიბანის წარმომადგენელმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს მიიღონ ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ ომის საფრთხე, გამოიწვიონ შეიარაღების შემცირება და ლიბანის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამუნმა ილაპარაკა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპის“ დასაცავად და მოითხოვა „გაიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარი ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსათვის“.

ლიბანის წარმომადგენელმა უარყო, როგორც უსუსური, კოლონიური სახელმწიფოებისა და, უწინარეს ყოვლისა კი, საფრანგეთის მტკიცებანი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვითომდა არ არის კომპეტენტური განიხილოს ისეთი საკითხები, როგორიც არის საკითხი ტუნისსა და მაროკოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ლიბანის წარმომადგენელმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიღოს ღონისძიებანი სუსტად განვითარებულ ქვეყნებისათვის რეალური დახმარების გასაწევად. ნახევარი კაცობრიობა თითქმის შიმშილობს, განაცხადა ამუნმა, ბევრი ქვეყანა შიმშილის საზღვარზეა. ნეღლეულის მიმწოდებელი ქვეყნები ვერ იღებენ სამართლიან ფასებს თავისი ექსპორტის პროდუქტებისათვის, რაც კიდევ უფრო აუარესებს მათს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.

კოლუმბიის დელეგატმა ქებით მოიხსენია ტრუმენის პროგრამის ყბადაღებული მეოთხე პუნქტი და მოუწოდა სუსტად განვითარებულ ქვეყნებს უფრო ფართოდ გაუღონ კარი უცხოეთის, ესე იგი ამერიკის კაპიტალს.

ისრაელის წარმომადგენელი თავისი სიტყვით თავს დაესხა არაბულ ქვეყნებს და ქება შეასხა შეთანხმებას რეპარაციების შესახებ, რომელიც დაადო ისრაელის მთავრობასა და ბონის მარიონეტულ ხელისუფალთა შორის.

სხდომის დასასრულს ისრაელის წარმომადგენელს პასუხი გასცეს ერაყისა და სირიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც თავის მხრივ გააკრიტიკეს ისრაელის მთავრობა და, კერძოდ, მისი დამოკიდებულება პალესტინიდან ლტოლვილი არაბებისადმი.

ერაყის წარმომადგენელმა ჯემალიმ გააკრიტიკა აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის სიტყვა, რომელიც ცდილობდა გაემართლებინა საფრანგეთის ხელისუფალთა კოლონიზატორული პოლიტიკა ტუნისსა და მაროკოში. ჯემალიმ აღნიშნა, რომ საფრანგეთის ხელისუფალნი ტერორს პოლიტიკას ეწევიან ტუნისისა და მაროკოს ხალხთა მიმართ, რომლებიც ამხედრდნენ თავისი დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ერაყის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სავსებით კომპეტენტურია განიხილოს ტუნისისა და მაროკოს საკითხები, რამდენადაც საქმე ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩაწერილი ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას და ჩრდილოეთ აფრიკაში საშიში კონფლიქტის ლიკვიდაციას.

ტრიუგვე ლის მრჩევლის თვითმკვლელობა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, თავი მოიკლა ტრიუგვე ლის სპეციალურმა მრჩეველმა ა. ფელერმა, რომელიც ნიუ-იორკში გადმოვარდა თავისი სახლის ფანჯრიდან.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ფელერი დასაკითხად გამოიძახეს სენატის ე. წ. „საშინაო უშიშროების საკითხთა“ კომისიაში, რომელსაც მაკარენი მეთაურობს და რომელიც იკვლევს იმ ამერიკელთა „საქმეებს“, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში მსახურობენ.

ირანში დაპაპგიმრეს ინგლისის ჯაშუში

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ირანის პოლიციამ დააპატიმრა ინგლისის ქვეშევრდომი ჰენრი ნავარა, საქმიანი წრეების წარმომადგენელი. მას ბრალდება ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ. ნავარა ინგლისის არმიის ყოფილი კაპიტანია.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები კიმჰვის რაიონში გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

გუშინ ღამით ამერიკელმა ინტერვენტებმა საჰაერო თავდასხმა მოახდინეს ფხენიანის მიდამოებში სოფელ ხაგონიზე, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ მოიპოვება და ბარბაროსულად დაბომბეს იგი. თავდასხმის შედეგად მოკლული და დაჭრილია მრავალი მცხოვრები.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს 8 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი მოწინააღმდეგისა, რომელიც განაგრძობდა მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმებს.

ამერიკის ავიაციამ კვლავ გარბაროსულად დაბომბა ფხენიანი

ფხენიანი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია განაგრძობს კორეის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსულ დაბომბვას. 13 ნოემბერს ღამით მხეცურად დაბომბეს ფხენიანი. ამ ქალაქზე თავდასხმაში, რომელსაც სამხედრო ობიექტები არა აქვს, მონაწილეობა მიიღეს ამერიკელთა „ბ-29“ მძიმე ბომბდამშენებმა. თავდასხმის დროს ქალაქს დააყარეს დიდძალი ცეცხლგამჩენი ბომბი და ნაპალმიანი ბალონები.

განსაკუთრებით სასტიკად დაბომბეს ფხენიანის დასავლეთი უბნები. აქ ხანძარი რამდენიმე საათს არ ჩაქრალა. ცოცხლად დაიწვა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ეროვნულ კრებაში და მის კომისიებში გრძელდება სხვადასხვა საბიუჯეტო და საფინანსო პროექტის განხილვა. ეს განხილვა ასახავს სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს, რაც წინ ეღობება საფრანგეთის მთავრობას, რომელიც ცდილობს გამონახოს სახსრები 1953 წლისათვის გათვალისწინებული უდიდესი სამხედრო ხარჯების დასაფარავად. როგორც ცნობილია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პინეიმ სცადა უზრუნველეყო პარლამენტში ზოგიერთი ჯგუფის მხარდაჭერა მთავრობისათვის, განაცხადა რა, რომ არ დაუშვებს გადასახადების ახალ გადიდებას. მაგრამ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში საფრანგეთის მონაწილეობასთან და ინდო-ჩინეთში დამპყრობლური ომის განგრძობასთან დაკავშირებით სამხედრო ხარჯების ზრდა სერიოზულ პრობლემებს სახავს მთავრობის წინაშე. სამოქალაქო ხარჯების ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია მშვიდობიანი მშენებლობისათვის განკუთვნილი კრედიტების შემცირება.

მიუხედავად ამისა, პარიზის გაზეთების აზრით, მთავრობას გაუძნელდება უზრუნველეყოს ბიუჯეტის წონასწორობა ისე, რომ არ მიმართოს გადასახადების ახალ გადიდებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი საგადასახადო რეფორმის შესახებ. ამ კანონპროექტის მიზანია საგადასახადო რეფორმის საბაბით არსებითად მაღლეოს გადასახადების გადიდებას. მართლაც, პროექტში აღნიშნულია, რომ 1953 წელს გადასახადები უნდა გადიდდეს 280 მილიარდი ფრანკით. გუშინ ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ 24 ხმით 16 ხმის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) უარყო ეს კანონპროექტი. კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს არა მარტო კომუნისტებმა, არამედ აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენლებმა კომისიაში.

დღევანდელი გაზეთები ფართო კომენტარს უკეთებენ ამ ფაქტს და აღნიშნავენ მთავრობის ძნელ მდგომარეობას. გაზეთ „კომბას“ მიაჩნია, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იძულებული იქნება ან უარი თქვას ამ კანონპროექტზე, ან შეიტანოს იგი ეროვნული კრების განსახილველად, მიუხედავად საფინანსო კომისიის ოპოზიციისა, და დასვას ნდობის საკითხი, ესე-იგი ზეგავლენა მოახდინოს დეპუტატების ერთ ნაწილზე იმის დამუქრებით, რომ, თუ კანონპროექტი არ მიიღეს, მთავრობა გადადგება. გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ მთავრობა, შესაძლებელია, შეეცდება შეიტანოს საგადასახადო რეფორმის ზოგიერთი დებულება საფინანსო კანონში, ე. ი. კანონში, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების დაფარვის წყაროებს.

წიგნის თარო



რ. მარგიანი — „მშვიდობის სამშობლოში“. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა რევაზ მარგიანის ლექსების კრებული—„მშვიდობის სამშობლოში“. წიგნი შედგება ხუთი განყოფილებისაგან: „მშვიდობიანი ადამიანები“, „თავისუფლების აკვანი“, „ჩემი სიმღერა“, „მშობლიური მთები“ და „გამარჯვების სახელთან“. ლექსები თარგმნილია ცნობილი რუსი პოეტების ნ. ტიხონოვის, ნ. ზაბოლოცკის, ა. მეჟეროვის, მ. ლუკონინის, პ. შუბინის, ვ. ზვიაგინცევის, ა. ტარკოვსკის, ნ. ჩუკოვსკისა და ვ. ტუშნოვას მიერ.

კრებულის რედაქტორია ნ. ჩიქოვანი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ი. გუროს. წიგნი შეიცავს 176 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 3 მან. და 95 კაპ.

* * *

დ. კლდიაშვილის თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ს. კლდიაშვილის რედაქტორობით გამოსცა დ. კლდიაშვილის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი. კრებულში შეტანილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაწერილი მოთხრობები. წიგნს წამძღვარებული აქვს ს. ჭილაიას წინასიტყვაობა, დართული აქვს შენიშვნები და დ. კლდიაშვილის ლექსიკონი, აგრეთვე ავტორის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ დ. ქუთათელაძის მიერ. წიგნი შეიცავს 391 გვერდს და ღირს 16 მან. 95 კაპ.

მარიამ სტიუარტი. ვილჰელმ ტელი. სახელგამმა გამოსცა ფ. შილერის ტრაგედია „მარიამ სტიუარტი“, თარგმანი გერმანულიდან ვ. ბეწუკელისა, და დრამა „ვილჰელმ ტელი“, თარგმანი გერმანულიდან გიორგი ნადირაძისა. წიგნს დართული აქვს გ. ნადირაძის ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები. რედაქტორია ვ. კუპრავა. წიგნი შეიცავს 341 გვერდს და ღირს 7 მან. 20 კაპ.

ვ. აჟაევი—მოსკოვიდან დაშორებით. სახელგამმა გამოსცა ვ. აჟაევის „მოსკოვიდან დაშორებით“. ავტორს ამ რომანისათვის მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია. რომანი თარგმნა პოლიო აბრამიამ. რედაქტორია ვ. წულუკიძე. წიგნი შეიცავს 887 გვერდს და ღირს 15 მან. 40 კაპ.

ბათუმის სახელმწიფო თეატრში

წარმატებით მიმდინარეობს წელს სეზონი ბათუმის სახელმწიფო თეატრში. თეატრმა უკვე განახორციელა სამი დადგმა, რითაც მაყურებელთა ზიდი სიმპათია დაიმსახურა. სეზონი გაიხსნა ი. ვაკელის პიესით „რკვალი“, დადგმა შ. მესხისა და შ. ინასარიძის (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). მხატვრობა მ. ჩარკვიანისა, მუსიკა—სტალინური პრემიის ლაურეატის ო. თაქთაქიშვილისა.

მეორე პრემიერად თეატრმა მაყურებელს უჩვენა ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, გასცენიერებული გ. ბერძენიშვილის მიერ. დადგმა შ. მესხისა და გ. მრავლაძის, (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მხატვარი—სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ლაპიაშვილი, მუსიკა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ანდრონიკაშვილისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35 წლისთავის დღესასწაულისათვის თეატრმა მოამზადა ა. ბარიანოვის „იმათ მხარეში“ (თარგმანი შ. გაბესკირიანის). დადგმა შ. მესხის, მხატვარი მ. ჩარკვიანი, მუსიკა სტალინური პრემიის ლაურეატის ა. მაჭავარიანისა. სამივე სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მწერალთა კავშირში

სამშაბათს, 18 ნოემბერს, 3 საათზე მწერალთა კავშირის კლუბში დანიშნულია სერგი ჭილაიას წიგნის „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“ წინასწარი განხილვა.

მომხსენებელი — ბესარიონ ჟღენტი.

დასწრება მწერალთათვის თავისუფალია.

თევზების ხელოვნური თბილისის „ზღვაში“ ჩასვლა

სსრ კავშირის თევზეულ მეურნეობათა სამინისტროს ტრესტი საქთევზმშენი ამ დღეებში შეუდგება თბილისის „ზღვაში“ მოსაშენებლად თევზების გაშვებას, რათა იქ რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელი გახდეს თევზჭერის სარეწის მოწყობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური ინსტიტუტის მითითებით პირველ ხანებში „ზღვაში“ გაშვებულ იქნება რამდენიმე ათასი ცალი ცოცხალი ხრამული და ძვირფასი ჯიშის თევზი ჭაპალა („რიაპუშკა“). ეს თევზები გადმოჰყავთ ფარავნისა და სალამოს (ბოგდანოვკის რაიონშია) ტბებიდან.

„ზღვაში“ თევზების ახლა გაშვება მიზანშეწონილია იმიტომ, რომ დაქვირითების პერიოდამდე (ხრამული ქვირითს ყრის გაზაფხულის ბოლოს, ხოლო ჭაპალა უფრო გვიან) თევზმა წყალსაცავის სიღრმეში თვითონ გამონახოს „დასაბუდებელი“ ადგილი, შეეთვისოს ახალ გარემოს.

მომავალი წლიდან აქვე შეუდგებიან კობრის მოშენებას, ხოლო 3-4 წლის შემდეგ, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, თბილისის „ზღვაში“